ემოციური ვიზიტები ერაყში

A3

პრესომბუდსმენი

A5

სანამ ურემი გადაბრუნდება

A6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 14 ნოემბერი, 2005 წელი. №253 (1113)

ფასი 50 თეთრი

ამბები

„ბრიტანეთის ავიახაზებმა" დაკარგული სეგმენტის აღდგენა შეძლო

ამ დღეებში ერთი წელი შესრულდა, რაც მსოფლიოში ერთ-ერთმა უდიდესმა ავიაკომპანიამ "ბრიტანეთის ავიახაზებმა" საქართველოში რეგულარული რეისები აღადგინა. 18-თვიანი შეჩერებით გამონვეული სირთულეების დაძლევა კომპანიისთვის არცთუ იოლი საქმე აღმოჩნდა. როგორი იყო გასული ერთი წელი "ბრიტანეთის ავიახაზებისთვის" საქართველოში? ამ და სხვა საკითხებზე "24 საათს" ავიაკომპანიის გაყიდვების მენეჯერი ნინო ანდრიაძე ესაუბრა.

A2

ამბები

დაუსრულებელი რევოლუციის მოედანი

რესპუბლიკის მოედანს თბილისში ვარდების რევოლუციის სახელობის მოედანი უნდა დაერქვას, რომელსაც, გადასახლებული დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილას, ვარდის მონუმენტი დაამშვენებს. თავისუფლების მოედანზე კი ზურაბ წერეთლის მიერ შესრულებული გამარჯვების მონუმენტი დაიდგმება.

A3

რევიუ

ცამეტი დღე სამშობლოში

ხან სტუდიური, ხანაც ინდივიდუალური მუშაობა. ლექსო თორაძე სულ მუშაობს, კონცერტებს კონცერტები მოსდევს, ერთ ქალაქს – მეორე. მიუხედავად ამისა, მუსიკოსს არც სამშობლოში მოუწყვია დასვენება. 13 დღის განმავლობაში ჩვიდმეტი კონცერტი ჩაატარა.

A8

ამინდი

	14/11	15 /11
თბილისი	13	12
ტყიბული	16	17
სოხუმი	16	17
დმანისი	8	9
გორი	10	11
ონი	8	10
ზუგდიდი	19	19
ახმეტა	13	12
გაგრა	13	15
სამტრედია	18	20

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7950
ევრო	2.1009
ბირვანძა სტერლ.	3.1271
რუბლი	0.0622

ამბები	A 2
ამბები	A 3
სამართალი	A 4
პრესომბუდსმენი	A 5
სპორტი	A 6
რევიუ	A 7
სხვადასხვა	A 8

ფედერალიზმი თუ უნიტარიზმი?

კონსტანტინე ზ. გამსახურდია

უკვე რამდენიმე წელია, რაც ტელევიზიასა და პრესაში მიმდინარეობს დისკუსია ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხებზე. იგი, ბუნებრივია, მჭიდროდაა გადაბმული დროებით გაუცხოებული (ანუ "დაკარგული") ტერიტორიების - აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დღემდე მოუგვარებელ საკითხთან. მხარეებს, რომლებიც ამ დისკუსიაში გამოიკვეთება, პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ფედერალური მოწყობის მომხრენი და უნიტარისტები.

ფედერალიზმის მომხრე არასამთავრობო სექტორის ჯგუფების ის ნაწილია, რომელიც გარკვეულწილად გასცნობია სახელმწიფო მოწყობის თეორიას დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კონტინენტებზე და მოუწადინებია მათი პირდაპირი გადმოტანა საქართველოში. ასე მაგალითად: ლაპარაკია აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ფედერალურ სუბიექტებად ცნობაზე, სადაც ამ სუბიექტებს ექნებათ არა მარტო თვითგამორკვევის, არამედ ამ ახალი ფედერაციული წარმოქმნიდან გამოსვლის უფლებაც. უნიტარისტები კი, ძირითადად, სწავლულთა ძველ გვარდიას წარმოადგენენ, რომელთათვისაც, ასე თუ ისე, ნაცნობი და მისაღებია თუნდაც საფრანგეთისა და თურქეთის მოდელები, როგორც ცენტრალიზებული მართვის ქვეყნების საუკეთესო მაგალითები. მათი თვალსაზრისით, უნიტარიზმია ერთადერთი გამოსავალი ქვეყნის დაშლის თავიდან ასაცილებლად.

გაგრძელება A3 გვერდზე

ძალიან დინჯი აქცია

თამარ მაისურაძე

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ "დრო მოვიდა"...

"გაიკეთეთ თეთრი ლენტი, ან ქართული დროშა დაიჭირეთ ხელში. გაიარეთ ძალიან დინჯად," – ასეთი გახლდათ ზურაბიშვილის მიმართვა მხარდამჭერებისადმი, როდესაც მათ რუსთაველის გამზირზე "გასეირნება" შესთავაზა. გუშინდელი, ერთი შეხედვით, ევროპული სტილის პროტესტი სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებებისა და დამნაშავეთა ლიკვიდაციის ბრძანებას უკავშირდებოდა.

სალომე ზურაბიშვილს მისი თანამოაზრენი რუსთაველის გამზირზე, ცენტრალური ფოსტის პირდაპირ ელოდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერთა ქუჩის პირველი აქცია.

იერი ლეონიძისა ფოტო

ნარკოტიკების რეალიზაციიდან ლევან კალაძის გატაცებამდე

თამარ კაკიტაძე

ცოტა ხნის წინათ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გაზეთ "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში პირველად განაცხადა, რომ ცნობილი ფეხბურთელის კახი კალაძის ძმის, ლევან კალაძის გატაცების საქმის გახსნის პერსპექტივა მინიმალურია.

"ეს ძველი, წლების წინ მომხდარი დანაშაულია, ფაქტები დაძველდა, მოვლენების აღდგენა ჭირს, ადამიანები კი, რომლებიც ამ საქმესთან იყვნენ დაკავშირებულნი, აღარ არიან. ჩვენ ვთხოვეთ უცხოელ კოლეგებს საქმეში ჩართვა, მაგრამ საქმის სიძველის გამო, მათ თავი შეიკავეს. ამიტომაც, მიჭირს რაიმეს თქმა ამ საქმის გახსნის პერსპექტივასთან დაკავშირებით", - აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა და რამდენიმე დღის შემდეგ იგივე გაიმეორა პარლამენტის ტრიბუნიდანაც.

წლების წინ ჩადენილი დანაშაულის გახსნა რომ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული, ამაში მოულოდნელი არაფერია, მაგრამ მინისტრის გამოსვლას კალაძეების ოჯახიდან არანაირი რეაქცია რომ არ მოჰყოლია, გაკვირვება საზოგადოებაში სწორედ ამან გამოიწვია. "24 საათთან" სატელეფონო საუბრისას ლევან კალაძის მამამ კარლო კალაძემ შვილის საქმის თაობაზე ყოველგვარი კომენტარისგან თავი შეიკავა. მას საუბარი არც მინისტრის განცხადებასთან დაკავშირებით სურს და არც იმაზე, მიმდინარეობს თუ არა ლევან კალაძის საქმეზე გამოძიება.

გაგრძელება A4 გვერდზე

მორიგების კიდევ ერთი წარუმატებელი მცდელობა

ირანი თანახმაა, სხვა ქვეყნებს ურანის გამდიდრების პროცესში მონაწილეობის საშუალება მისცეს – ოღონდ ეს პროცესი ირანის შიგნით უნდა განხორციელდეს. ირანის ატომური ენერგეტიკის პროგრამის ხელმძღვანელმა, ღოლამრეზა აღაზადემ უარყო წინადადება ირანის ბირთვული პროგრამის საჭირო საწვავი რუსეთში დამზადდეს. ირანის ბირთვული პროგრამის გამო წარმოქმნილი კრიზისის მოგვარების კიდევ ერთი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

გავრცელებული ცნობების თანახმად, ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ ირანის ატომური პროგრამის ირგვლივ არსებული უთანხმოების გადაჭრის ახალი წარუმატებელი მცდელობა განახორციელეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

რუსეთი ირანის დასავლეთთან მორიგებაზე ზრუნავს.

ვინ იქნება შემდეგი?

გიორგი ასანიშვილი

ბოლო ერთი თვის განმავლობაში მინისტრთა კაბინეტი სალომე ზურაბიშვილსა და ეთერ ასტემიროვას დაატოვებინეს. პოლიტიკურ კულუარებში დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ახლო მომავალში სოფლის მეურნეობის მინისტრს მიხეილ სვიმონიშვილსაც გადააყენებენ. მოარული ხმების თანახმად, საგრძნობლად არის შერყეული, აგრეთვე, ჯანდაცვის მინისტრისა და სამი სახელმწიფო მინისტრის (გიორგი ბარამიძე, გიორგი ხაინდრავა, კახა ბენდუქიძე) პოზიციები. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მართალია, საჯაროდ აცხადებს, რომ ქვეყანას ეფექტური მთავრობა ჰყავს, მაგრამ, ამავე დროს, ზურაბ ნოღაიდელის კაბინეტის წევრებს საჯაროდ ტუქსავს და მათ საზოგადოებისგან მოწყვეტაში ადანაშაულებს.

პარლამენტთან შედარებით, მთავრობის საქმიანობა ნაკლებად გამჭვირვალეა და მის შიგნით არსებული რეალური სურათის დანახვა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ამიტომ, ამ ნიშნების გამოკვეთის მიუხედავად, მაინც ძნელია მტკიცება, რომ ქვეყანაში სამთავრობო კრიზისი მწიფდება. მით უმეტეს, ასეთი კრიზისის მოახლოების შემთხვევაში, პრეზიდენტს მის თავიდან ასაცილებლად ან გადასავადებლად საკმაოდ ქმედითი საკანონმდებლო ბერკეტი გააჩნია. კერძოდ, თუ რომელიმე (ან რამდენიმე) მინისტრის საქმიანობით უკმაყოფილოა, მის (მათი) თავიდან მოსაშორებლად პრეზიდენტს კაბინეტის მთლიანად დათხოვნა სულაც არ სჭირდება. კანონი პრეზიდენტს საშუალებას აძლევს, აღმასრულებელი ხელისუფლებიდან ნელ-ნელა, პაუზების დაცვით გაუშვას მისთვის არასასურველი ყველა პერსონა ისე, რომ ამ საქმისთვის პარლამენტს არ მიმართოს.

ასე რომ, თუ პოლიტიკური სიტუაცია განსაკუთრებით არ გართულდება, ქვეყანა კატაკლიზმების საფრთხის წინაშე არ დადგება და ყურადღების სხვა თემაზე გადატანა არ გახდება საჭირო, ძნელად სავარაუდოა, რომ მიხეილ სააკაშვილი მთავრობის მთლიანად დათხოვნაზე წავიდეს. ფორსმაჟორის გარდა, ეს კიდევ იმ შემთხვევაშიც შეიძლება მოხდეს, თუ რომელიმე სტრატეგიულ საკითხში (მაგალითად, რუსი სამშვიდობოების გაყვანა, კონფლიქტის ზონებში ქართული მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა და სხვა) ხელისუფლება კრახს განიცდის და პრეზიდენტს განტევების ვაცის პოვნა დასჭირდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

იუნესკო-ს ექსპერტი წინანდლის იჯარით გაცემას უარყოფითად აფასებს

პარლამენტარმა ლევან ბერძენიშვილმა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" მიაწოდა იუნესკო-ს ექსპერტის ბარბარა ვორონცოვის რეკომენდაცია, რომელიც წინანდლის სახლ-მუზეუმის 49-წლიანი იჯარით გაცემის ფაქტს უარყოფით შეფასებას აძლევს.

"ეროვნული მნიშვნელობის სახლ-მუზეუმის ამ გზით იჯარით გაცემა ჩემს პრაქტიკაში არ არსებობს," - ნათქვამია რეკომენდაციაში.

რეკომენდაციაში ყურადღება გამახვილებულია იმაზეც, რომ არსებობს ისტორიული ძეგლის (ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ არა ასეთი) იჯარით გაცემის შემთხვევები, ისიც მაქსიმუმ 7-10 წლით, სახელმწიფოს მხრიდან მკაცრად განსაზღვრული საკონტრაქტო პირობებით.

"რაც შეეხება ისეთი ტიპის სახლ-მუზეუმს, როგორიც ჭავჭავაძეების მამულია, თუ საქართველოს მთავრობა მის იჯარით გაცემას მაინც გადაწყვეტს, მაშინ იქიდან გატანილი უნდა იქნას კოლექციის მოძრავი ნაწილი. კონტრაქტში ჩადებული უნდა იყოს მუხლი, რომელიც ნებისმიერი დარღვევის, ან უნებართვო ცვლილების შემთხვევაში (ეხება შენობასაც და ბაღსაც), სახლ-მუზეუმი სახელმწიფოს მმართველობაში გადადის. იჯარით გაცემამდე დოკუმენტურად უნდა აღიწეროს სახლ-მუზეუმი, და ბაღის და შენობის როგორც შიდა, ისე გარე ნაწილის ფოტოები გაკეთდეს," - წერს ბარბარა ვორონცოვი.

როგორც კულტურის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ს განუცხადა, აღნიშნული რეკომენდაციის გამოგზავნა ბარბარა ვორონცოვისთვის კულტურის სამინისტროს არ უთხოვია და ეს მხოლოდ კერძო მიმოწერისას გამოთქმული მოსაზრებებია.

გაგრძელება A2 გვერდზე

IPM-ს მომსახურება - უმაღლესი სტანდარტი

ექვსთვიანი შესწავლის შემდეგ, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტ IPM-ს საერთაშორისო დონის სერტიფიკატი მიენიჭა. აუდიტორული დასკვნა, რომელიც კვლევის ხარისხს ამოწმებს, საქართველოში აქამდე არავის ჰქონია. დღეს კომპანია IPM-ს სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" ISO-9001 სტანდარტი მიენიჭება. ექსპერტების აზრით, კომპანია IPM ბაზრის მოთხოვნებს, მინიმუმ, ორი წლით უსწრებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ IPM უფრო ხარისხიან პროდუქციას აწარმოებს, ვიდრე ეს დღეს სჭირდება ბაზარს. რა გზა გაიარა IPM-მა აღნიშნული სერტიფიკატის მოსაპოვებლად და რამდენად მნიშვნელოვანია ISO-9001 სტანდარტი, ამის შესახებ კომპანიის დირექტორს გოჩა ცქიტიშვილს ვესაუბრეთ.

თამარ დვალი

- როდის დაიწყო თქვენი კომპანიის შესწავლა და რა ეტაპები გაიარეთ ISO-9001 სტანდარტის მინიჭებამდე?

- ნებისმიერი საკონსულტაციო ბიზნესის ორგანიზაცია სავალდებულო სერტიფიცირებას მოითხოვს. ვალდებულება ჩნდება იქ, როცა საკონსულტაციო-სამარკეტინგო ბიზნესში ჩართული ორგანიზაციები საერთაშორისო სტანდარტების დაცვის ვალდებულებას იღებენ. ყველას შეუძლია, არ აიღოს ასეთი ვალდებულება, მაგრამ ვინც იღებს, მათ უწესდებათ ნორმები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა. ასეთი ნორმები კი ბევრია, პრინციპულად გამოვყოფ ორ ნაწილს. პირველი - ეს არის საკონსულტაციო სერვისის სტანდარტი, ანუ, თუ უფრო ვიწრო პროფილით ვიტყვით, კვლევითი სტანდარტი. გამოდის, რომ მსოფლიომ შექმნა რაღაც სტანდარტი და დაადგინა - ეს არის ხარისხიანი და რაც ასეთი არ იქნება, უხარისხოა. შესაბამისად, სერვისის შემკვეთი ყველა ორგანიზაცია, რაკი გათვითცნობიერებული არ არის, თუ რა ხარისხის კომპანია ემსახურება (არც არის ვალდებული, ეს იცოდეს), აუდიტორის დასკვნას ითხოვს. ეს არ არის საფინანსო აუდიტორი, ეს არის კვლევითი აუდიტორი. საკონსულტაციო ბიზნესში ასეთი აუდიტორების მომსახურება ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებულია.

გაგრძელება A2 გვერდზე

„ბრიტანეთის ავიახაზებმა" დაკარგული სეგმენტის აღდგენა შეძლო

ამ დღეებში ერთი წელი შესრულდა, რაც მსოფლიოში ერთ-ერთმა უდიდესმა ავიაკომპანიამ "ბრიტანეთის ავიახაზებმა" საქართველოში რეგულარული რეისები აღადგინა. 18-თვიანი შეჩერებით გამოწვეული სირთულეების დაძლევა კომპანიისთვის არცთუ იოლი საქმე აღმოჩნდა. როგორი იყო გასული ერთი წელი "ბრიტანეთის ავიახაზებისთვის" საქართველოში? ამ და სხვა საკითხებზე "24 საათს" ავიაკომპანიის გაყიდვების მენეჯერი ნინო ანდრიაძე ესაუბრა.

ნინო ანდრიაძე: "გასული ერთი წელი ჩვენი ავიაკომპანიისთვის საქართველოში გარდამავალი წელი იყო".

- გასული წელი "ბრიტანეთის ავიახაზებისთვის" მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოცდილება იყო. 18-თვიანი შეჩერებით გამოწვეული სიძნელეების დაძლევა არცთუ იოლი აღმოჩნდა, თუმცა შემიძლია დანამდვილებით მოგახსენოთ, რომ იმ უდიდესმა ძალისხმევამ, რომელიც კომპანიის სათაო და ადგილობრივმა ოფისებმა აწ გარდაცვლილი დეზ ჰეზერინგტონის ხელმძღვანელობით გასწიეს, შედეგი გამოიღო. განვლილ ერთ წელს მე დავარქმევდი გარდამავალ წელს, როდესაც მაღალი კონკურენციის პირობებში ჩვენ შევძელით, აღგვედგინა დაკარგული სეგმენტი და მყარად დაგვემკვიდრებინა ადგილი საქართველოს ავიაბაზარზე. მსურს ვისარგებლო შემთხვევით და ყველას მადლობა გადავუხადო იმ დახმარებისა თუ თანადგომისთვის, რომელსაც ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით. ამ პერიოდის განმავლობაში უფრო მრავალფეროვანი და კონკურენტული გარემო შეიქმნა, რაც ბიზნესის განვითარების საუკეთესო პირობაა. გვეამაყება, რომ ამ წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სიახლეები დავნერგეთ და მომხმარებელთან სერიოზული კორპორატიული ურთიერთობები დავამყარეთ. ამ ურთიერთობებს საგაენტოებისა და მედიისთვის ორგანიზებული მოგზაურობები და გათამაშებები ახალისებს.

- გასულ 2002, 2003 წლებთან შედარებით შემცირდა თუ გაიზარდა "ბრიტანეთის ავიახაზების" მგზავრთა ნაკადი? რამდენით?

- წინა წლებთან შედარებით მგზავრთა საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების დამსახურებაა. ჩვენს პროდუქტზე მოთხოვნილების გაზრდამ ავიაკომპანიის რეისების გაზრდა განაპირობა. ამჯერად "ბრიტანეთის ავიახაზები" ფრენებს კვირაში სამჯერ, ორშაბათს, ოთხშაბათსა და შაბათს ასრულებს.

- "ბრიტანეთის ავიახაზებს" მგზავრებს შორის ქართველები ჭარბობენ თუ უცხოელები? როგორია მათი პროცენტული თანაფარდობა?

- გაერთიანებულ სამეფოს სულ უფრო მეტი ქართველი სტუმრობს, რაც ორ ქვეყანას შორის არსებული კავშირების გამყარებით, ჩვენი მომსახურების ხარისხითა და ღირებულებითაც აიხსნება. თუმცა, მგზავრთა მნიშვნელოვან ნაწილს კვლავინდებურად უცხოელი მომხმარებელი წარმოადგენს.

- ავიაკომპანიის ბილეთების საფასურს რაც შეეხება, საშობაოსაახალწლო ფასდაკლება თუ იგეგმება?

- 1 ნოემბრიდან ძალაშია სეზონური ფასდაკლება, რაც მგზავრებს, სულ რაღაც, 400 ა.შ.შ. დოლარად ლონდონის მონახულების საშუალებას აძლევს.

გაერთიანებული სამეფოს სხვა ქალაქების სტუმრობა 450 ა.შ.შ. დოლარად არის შესაძლებელი. როგორც უკვე აღვნიშნე, "ბრიტანეთის ავიახაზების" ფრენები ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათს და შაბათს, დილის საათებში ხორციელდება და მგზავრებს ლონდონს ან, ბრიტანეთის დედაქალაქის გავლით, 599 მიმართულებას აკავშირებს.

- რეისების რაოდენობა ამჯერად არის კვირაში სამჯერ. ხომ არ იგეგმება მომავალი წლიდან რეისების რაოდენობის გაზრდა?

- "ბრიტანეთის ავიახაზები" მომხმარებელს მუდმივად სთავაზობს სიახლეებს. ჩვენი პოლიტიკა სერვისის გაუმჯობესებაა. ფრენების სიხშირის გაზრდა მომხმარებლის მოთხოვნილების ზრდაზეა დამოკიდებული.

- რა სიახლეებია, რომელიც ავიაკომპანიამ გასული ერთი წლის მანძილზე მგზავრებს შესთავაზა?

- წელს მომხმარებელს ახალი პროდუქტი "აერობუს A320-200" გავაცანით. თვითმფრინავი უფრო კომფორტული სავარძლებით, ინდივიდუალური ტელევიზორებითა და მრავალფეროვანი გასართობი პროგრამით გამოირჩევა. თუმცა, "ბრიტანეთის ავიახაზების" ყველაზე დიდი წარმატება ელექტრონული ბილეთის დანერგვა გახლდათ. ელექტრონული ბილეთის მეშვეობით მოგზაურობა უფრო დაცული, სწრაფი და მოხერხებულია. ამ ტიპის ბილეთის დაჯავშნა ინტერნეტში, "ბრიტანეთის ავიახაზების" ვებგვერდზე BA.com ხდება. მონაცემები ჩვენს ელექტრონულ სისტემაშია დაცული, რაც მგზავრს ბილეთის დაკარგვისა და რეგისტრაციის დროს რიგში დგომისგან ათავისუფლებს. ელექტრონული ბილეთის მფლობელს შეუძლია BA.com-ზე თავად დაჯავშნოს ბორტზე ადგილი, შეარჩიოს მენიუ, ინტერნეტის მეშვეობით გაიაროს რეგისტრაცია და ამობეჭდოს ჩასხდომის ბარათი. მგზავრობის თარიღისა და სხვა დეტალების შეცვლა რეგისტრაციის ბოლო წუთებამდეა შესაძლებელი. ამგვარი მოხერხებული და მოქნილი პირობების გამო, დღეისათვის მთელ მსოფლიოში "ბრიტანეთის ავიახაზების" მგზავრთა 80 პროცენტი ელექტრონული ბილეთის მომხმარებელია. საქართველოში კი მისი პოპულარობა სასიამოვნო მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს. მომხმარებლისთვის ელექტრონული ბილეთის წარდგენიდან 6 თვეში თითოეულ რეისზე ელექტრონული ბილეთების რიცხვი 70 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს 39 აეროპორტში, მათ შორის - ბრიტანეთში, ევროპასა და კენედის აეროპორტში დამონტაჟებულია რეისზე რეგისტრაციის თვითმმსახურების კიოსკები. ამჟამად 450.000-მდე მგზავრი ამგვარი კიოსკებით სარგებლობს, რაც მათი დროის დაზოგვის საწინდარია

- წარმატებული კომპანია მუდმივად ზრუნავს მომხმარებლის წახალისებაზე. "ბრიტანეთის ავიახაზები" ამ მხრივ რითი გამოირჩევა?

- ჩვენი ერთგული მომხმარებლებისთვის ხშირად ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები. ოქტომბერში კუს ტბაზე პეინტბოლის ტურნირი ჩავატარეთ, რომელშიც მონაწილეობას კორპორატიული მომხმარებლები, ტურისტული საგენტოები და ჟურნალისტები იღებდნენ. ტურნირის გამარჯვებულს ლონდონის მიმართულებით ორი უფასო ბილეთი გადაეცა. ჩვენ არანაკლებ ვზრუნავთ ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებსა და მათ ინფორმირებაზე კომპანიის სიახლეების შესახებ. ზამთარში მოეწყო მედიატური ქართველი ჟურნალისტებისთვის. მათ ინგლისის და შოტლანდიის დედაქალაქები მონახულების არაჩვეულებრივი შესაძლებლობა მიეცათ.

"ბრიტანეთის ავიახაზები" სპონსორობას საქართველოში მოწყობილ კულტურულ ღონისძიებებსაც უწევს. ქართულ-ბრიტანული კულტურის პლატფორმამ ოქტომბრის თვეში სერგო ფარაჯანოვის ხსოვნის საღამო მოაწყო, რომლის საპატიო სტუმარი გახლდათ ბილ მაკალისტერი. იგი ჯორჯ სოროსის მრჩეველი და, ამავე დროს, აღნიშნული ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია. "ბრიტანეთის ავიახაზებმა" სწორედ მისი თბილისში ჩამოყვანა უზრუნველყო.

- როგორია "ბრიტანეთის ავიახაზების" 2006 წლის გეგმები საქართველოში?

- ბრიტანეთის ავიახაზები მომხმარებელს ყოველთვის სთავაზობდა პოპულარულ მიმართულებებს. მომავალ წელს კი არჩევანი უფრო მრავალფეროვანი გახდება.

ასევე გაიზრდება ჩვენი პარტნიორი სასტუმროების რიცხვი, რაც ავიაბილეთთან ერთად სასტუმროს შეღავათიან ფასად დაჯავშნის საშუალებასაც იძლევა. მომავალშიც შევეცდებით, კვლავაც პირველებმა გავაცნოთ სიახლეები ჩვენს მომხმარებლებს. შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ქართულ ბაზარზე "ბრიტანეთის ავიახაზები" მგზავრებს როგორც აეროპორტში, ასევე თვითმფრინავზე საუკეთესო მომსახურებას სთავაზობს. ჩვენი მომხმარებლების რიცხვის ზრდაც ამ ფაქტორით არის განპირობებული.

IPM-ს მომსახურება - უმაღლესი სტანდარტი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

2003-2004 წლებში IPM-მა ასეთი აუდიტორი სამჯერ მოიწვია. შესაბამისად, არსებობს სამი დასკვნა. 2003 წელში იყო პირველადი დასკვნა, რომელიც ორგანიზაციას სერტიფიცირების ვალდებულებებს აკისრებდა: თუ რა უნდა გამოესწორებინა, რისთვის უნდა მიეღწია, რა დოკუმენტის ბაზაზე უნდა ემუშავა მომავალში და ა.შ. 2004-2005 წლებში ორი სხვადასხვა საერთაშორისო აუდიტორის მიერ მომზადდა საბოლოო დასკვნები. ორივე შემთხვევაში არსებობს დასკვნა, რომ კავკასიის ბაზარს შეუძლია ჩვენი ორგანიზაციის სტანდარტით ისარგებლოს. ნათქვამია, რომ სტანდარტი, რომლითაც IPM სარგებლობს, საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.

სტანდარტის მინიჭებისას საჭიროა მეორე მიმართულების გავლაც, რომელიც ამბობს, რომ შენ კი გაღიარეს, როგორც საერთაშორისო სტანდარტის ორგანიზაცია, მაგრამ საკითხავია, ამ სტანდარტის ხარისხს რამდენად იცავ. საქართველოში რამდენიმე ორგანიზაციას ასეთი სტანდარტი მიღებული აქვს. ეს არის ISO-9001, რომელიც არამარტო სამარკეტინგო ორგანიზაციებთან მიმართებაში მოიაზრება, არამედ, საერთოდ, ნებისმიერ წარმოებასთან მიმართებაში. შეიძლება ეს იყოს პურის ქარხანა, ან ღვინის საწარმო. საქმე იმასაა, რომ მსოფლიოს უმსხვილესმა ასოციაციებმა მარკეტინგში ამ ორი სტანდარტის თავსებადობის აუცილებლობა აღიარეს. უკვე გაჩნდა მსოფლიოში დოკუმენტაცია, რომელიც ერთი სტანდარტის მქონეს ავალდებულებს, მეორეც აიღოს და პირიქით. ანუ იმისთვის, რომ კომპანიას საერთაშორისო ხარისხის სერვისის მწარმოებელი კომპანიის სერტიფიკატი მიენიჭოს, ორივე სტანდარტი აუცილებელი გახდა. ეს მეორე ეტაპი დასრულდა წინა კვირას, რომელსაც ატარებდა საერთაშორისო ორგანიზაცია SAI-global-ი, რომლის რეგიონული წარმომადგენელი პეტერბურგიდან სპეციალურად ჩამოფრინდა თბილისში საბოლოო აუდიტის გასაკეთებლად. მათ მთელი საწარმოო პროცესი გააკონტროლეს და 14 ნოემბერს უკვე საზეიმო დაჯილდოებაა.

ᲒᲝᲩᲐ ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გოჩა ცქიტიშვილი.

- რას ნიშნავს თქვენთვის ISO-ს სტანდარტი?

- ძალიან ბევრს ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მარკეტინგის პროდუქტის ყიდვის დიდი პრაქტიკა არ არსებობდა და არც ახლა არსებობს. იმის გამო, რომ სერვისის შემსყიდველ კომპანიებში მაღალი ხარისხის სპეციალისტთა კონცენტრაცია არ არის, რადგან ამ სფეროში სპეციალისტები ჭირს, კორუფციის დიდი მასშტაბებია. იმაზე მეტი, ვიდრე ქვეყანაშია. საქმეში ნაკლებად გაცნობიერებული დირექტორები და მფლობელები ვერ არკვევენ, რა სერვისი უნდა იყიდონ და სად შეიძლება იყიდონ. ეს სერტიფიკატი მნიშვნელოვანია იმით, რომ ასეთ ხელმძღვანელებს აქვთ ორი პრინციპული დოკუმენტი, სადაც წერია: IPM-ში შეიძლება იგივე ხარისხის სამუშაო მიიღონ, რაც ბრიტანეთში, ლონდონში, ან პარიზში. ანუ, ხარისხის მიხედვით ეს სერვისი განსხვავებული არ არის. საქართველოს ბაზრისთვის იმ მხრივაც არის კარგი, რომ საერთოდ დსთ-ს ქვეყნებში მეორე შემთხვევაა, როდესაც საკონსულტაციო-სამარკეტინგო კომპანიამ ISO-ს სერტიფიკატი მიიღო. პირველი იყო კიევში და მეორე ვართ ჩვენ. ეს კომპანიისთვის ნიშნავს იმას, რომ ჩვენ როცა სამუშაოებს საქართველოს ფარგლებს გარეთ ვაწარმოებთ, მუდმივად გვიწევს იმის დასაბუთება, ვინ ვართ. ამით დასრულდა კომპანიის სერტიფიცირება. ვიღაცამ ბაზარზე უნდა გაიტანოს პროდუქტი და ვიღაცამ უნდა თქვას, რა არის ხარისხი. 11 პროდუქტი, რომელიც IPM-მა საქართველოში შემოიტანა, სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

- ქართულ ბაზარზე რამდენად გრძნობთ კონკურენციას?

- არის პროდუქტები, სადაც კონკურენცია არ არსებობს, იმიტომ, რომ ხარ ექსკლუზიური მწარმოებელი. ჩვენ კონკურენციის პრობლემებზე მეტად ჩვენი პროდუქციის არალეგალურად გამოყენების ფაქტები გვიქმნის პრობლემას. რამდენი დრო და ენერგია არ დავხარჯეთ იმისთვის, რომ ერთი ორგანიზაცია მაინც შექმნილიყო, რომელიც ამ ბიზნესში საავტორო უფლებებს და ეთიკას დაიცავდა, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ. IPM-ის გარდა, არსებობენ სხვა საერთაშორისო ბრენდები, რომლებსაც ანალოგიური პრობლემები აქვთ. ხდება ინფორმაციის, ანგარიშების, ტექნოლოგიების, მოდელების მოპარვა პირდაპირი კოპირების გზით.

- სამართლებრივად არ არსებობს ბაზა, რომელიც თქვენი უფლებების დაცვაში დაგეხმარებოდათ?

- მსოფლიოში არ არსებობს ცალკე, განყენებული სამართლებრივი სქემა, რომელიც საკონსულტაციო ბიზნესს ემსახურება. იგივე პრობლემა ეკონომისტებს და იურისტებსაც შეიძლება ჰქონდეთ, როგორიც საკონსულტაციო ბიზნესში მომუშავე ადამიანებს. მსოფლიომ მონახა გზა, თუ როგორ შეიძლება დაიცვას ასეთი ორგანიზაციები. ანუ შეიქმნა პროფესიული ასოციაციები, სადაც შევიდნენ მთავარი "მოთამაშეები" და თქვეს, რომ ქცევის წესებზე ერთმანეთში მოელაპარაკათ. საქართველოში არის უამრავი ასოციაცია, მაგრამ ვარგისი - არც ერთი. ახლა ბრენდის დაცვის ჯგუფმა წამოიწყო ახალი ინიციატივა და, ვნახოთ, რამდენად მოახერხებს ბრენდის დაცვას. ბიზნესს რეალურად აქვს ორი ღირებულება. ეს არის: კონტრაქტი და ბრენდი. თუ ქართული ბიზნესი ამ ორი ბიზნეს-ღირებულების დაცვას მოახერხებს, მაშინ ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარდება.

- კომპანიის გარდა, სერტიფიკატი კიდევ სამმა ადამიანმა მიიღო. რა სერტიფიკატებია და ვის მიენიჭა?

- კომპანიაში სამ ადამიანს - ნინელი იშხნელს, ნანა მორბედაძეს და მე მოგვენიჭა SAI-GLOBAL-ის ექსპერტის წოდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სერტიფიკატი ნებისმიერ ქვეყანაში შეგვიძლია წარვადგინოთ და ვიმუშაოთ. ჩვენი სახით კონკურენტული ბრენდი გაჩნდა, სამარკეტინგო ნაწილში ჩვენ სხვა კომპანიის აუდიტის გაკეთება შეგვეძლება.

ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

დღეს ასეთი ექსტრემალური სიტუაცია ნამდვილად არ არის, მიხეილ სააკაშვილის პირადი რეიტინგიც საკმაოდ მაღალია და, ამდენად, მთავრობის გადაყენების გზით მოვლენების ხელოვნური ესკალაცია პრეზიდენტის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს.

ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ პრეზიდენტმა ახლო მომავალში მეორე რადიკალური ნაბიჯი გადადგას და პარლამენტის დათხოვნა გადაწყვიტოს, რაზეც ზოგიერთი ოპოზიციონერი დეპუტატი საუბრობს. ასე არ მოხდება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი მთლიანად აკონტროლებს საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად უფლებაშეკვეცილ საკანონმდებლო ორგანოს და, ამდენად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა ყოველგვარ რეზონს მოკლებულია; მეორეც: პარლამენტის დათხოვნა ისევ პრეზიდენტს დაუბრუნებს - როგორც ცნობილია, მომავალი პარლამენტი 235-ის ნაცვლად 150-კაციანი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების მხარდამჭერი 80-მდე დეპუტატი საკანონმდებლო კორპუსის მიღმა დარჩება. მათ ნაწილს, ალბათ, სხვა სახელისუფლებო შტოებში დასაქმებენ ან ბიზნეს-სტრუქტურებში შეუქმნიან სასათბურე პირობებს, მაგრამ დიდია იმის ალბათობაც, რომ ზოგიერთი "უმუშევარი" ოპოზიციის რიგებში აღმოჩნდეს. ამიტომ, რაც დიდხანს იფუნქციონირებს ამჟამინდელი მოწვევის პარლამენტი, მით უფრო გადავადდება იმის საფრთხე, რომ პრეზიდენტის მხარდამჭერ ბანაკს გარკვეული სეგმენტი ჩამოსცილდეს.

როდესაც პრეზიდენტის "რისხვისგან" მთავრობის და პარლამენტის წევრთა დაცულობის ხარისხზეა ლაპარაკი, უდავოა, რომ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები, აღმასრულებლებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან - ცალკეული დეპუტატის დათხოვნას (გაწვევას) კანონი არ ითვალისწინებს, მაშინ, როდესაც ცალკე აღებული თითოეული მინისტრის თავზე პრეზიდენტს დამოკლეს მახვილი აქვს ჩამოკიდებული. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ პარლამენტარები უფრო აქტიურები არიან, მეტ გაბედულებას იჩენენ და მინისტრთა კაბინეტის ცალკეულ (!) წევრებს თამამად უტევენ. სწორედ ასეთმა "აქტიურობამ და გაბედულებამ" შეინირა ზურაბიშვილისა და ასტემიროვას პორტფელები და ნოღაიდელის კაბინეტის კიდევ რამდენიმე წევრის პოლიტიკური კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა...

თუმცა, საგარო საქმეთა მინისტრის გადაყენება მთავრობის ზოგიერთი წევრისთვის ჭკუის სასწავლებელ მაგალითად არ გამოდგა და ისინი პარლამენტთან დაპირისპირებას არ უშინდებიან. მაგალითად, მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ორგანოში ყველა თვითკმაყოფილებით არის შეპყობილი რუსი სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე მთა მიერვე მიღებული დადგენილებით, სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა საჯაროდ გამოთქვამს ეჭვებს ამ დოკუმენტის დროულობისა და სრულყოფილების თაობაზე.

პარლამენტისადმი რბილი დამოკიდებულებით არც მეორე სახელმწიფო მინისტრი, კახა ბენდუქიძე გამოირჩევა. ზოგიერთი დეპუტატი დღემდე გაღიზიანებულია იმ სიჯიუტით, რომელსაც ბენდუქიძე ეროვნული მარეგულირებელი კომისიების საკითხში იჩენს...

ორ სახელისუფლებო შტოს შორის არსებულ შიდა წინააღმდეგობებზე პრეზიდენტი მშვენივრად "თბობს ხელს": სალომე ზურაბიშვილის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნიდან გადაყენებამდე მის "ლობისტად" მიხეილ სააკაშვილი ითვლებოდა, მაგრამ როდესაც დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელის თავისუფლების მაღალი ხარისხი ყველასთვის თვალშისაცემი გახდა და ამიტომ, დღის წესრიგში "დამოუკიდებელი" მინისტრის "განეიტრალების" საკითხი დადგა, პრეზიდენტმა პარლამენტს შეაწმინდა ხელი - აბა, რა მექნა, საპარლამენტო უმრავლესობა ისე დაყინებით ითხოვდა ზურაბიშვილის მოხსნას, რომ მისი პოზიციის არგათვალისწინება არ შეიძლებოდაო.

როგორც ჩანს, "ხელსაწმენდის" როლი პარლამენტსაც მოეწონა და რადგან ერთხელ (სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაში) "გაუვიდა ტირილი", "ცრემლების ღვრა" მას უკვე ჩვეულებად ექცა: საგარეო საქმეთა მინისტრის გარდა, ამ ცრემლებში უკვე ეთერ ასტემიროვაც დაიხრჩო და არავინ იცის, ვინ იქნება შემდეგი.

გიორგი ხაინდრავა: აფხაზეთში პარტიზანული მოძრაობის განახლება პროვოკაციაა

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა აფხაზეთში პარტიზანული მოძრაობის განახლების კამპანიას პროვოკაციად მიიჩნევს.

როგორც ცნობილია, პარტიზანული მოძრაობა "თეთრი ლეგიონის" მეთაურმა ზურაბ სამუშიამ რუსულ მედიაში გააკეთა განცხადება, რომ ახლო მომავალში პარტიზანები საერთო შეკრებას ჩაატარებენ და გალის მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით მოძრაობას განაახლებენ. ამის საპასუხოდ გიორგი ხაინდრავა აცხადებს, რომ რუსული მედიით გავრცელებული ცნობები საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო ინიციატივების ჩავარდნას ემსახურება.

"ნიშანდობლივია, რომ ეს ვაუბატონები ასეთ განცხადებებს რუსულ მედიაში აკეთებენ და ვიდრე ამას საქართველოს ხელისუფლება გაიგებდეს, პირველად ცნობილი ხდება რუსული და აფხაზური მხარეებისთვის. ეს პროვოკაციაა, რომელიც რუსული მედიით ფართოდ გაშუქდა და ჩვენს სამშვიდობო გეგმებს ეწინააღმდეგება. რამდენიმე დღეა, რაც რუსები და აფხაზები გაიძახიან, რომ საქართველოს ხელისუფლება ომისთვის ემზადება," - აცხადებს გიორგი ხაინდრავა. მართალია, სახელმწიფო მინისტრი ამ განცხადებებს პროვოკაციულს უწოდებს, მაგრამ იმის თქმა დაზუსტებით არ შეუძლია, რა კონკრეტულ ზომებს მიიღებს საქართველოს ხელისუფლება ამ პროვოკატორების წინააღმდეგ. **მედიანიუსი**

იუნესკო-ს ექსპერტი წინანდლის იჯარით გაცემას უარყოფითად აფასებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"ამ რეკომენდაციაში პასუხი ადეკვატური არ არის, რადგან კითხვა დასმულია არასწორად. იუნესკოს ექსპერტი არ არის ჩაყენებული საქმის კურსში იმის შესახებ, რომ ეს არის მემორიალური მუზეუმი, სადაც ცალკე ნივთები და ცალკე მუზეუმი არ არსებობს. ჩვენ ხელშეკრულებაში იმ კოლექციის უმკაცრესად დაცვის მუხლებს ჩავდებთ," - განაცხადა ვაჩეიშვილმა.

მისივე განმარტებით, მუზეუმის თანამშრომლებმა თავად გადმოსცეს სამინისტროს ექსპონატების საერთო ღირებულების მცდარი ციფრი, რომელიც ჯამში 24 ათას ლარს არ აღემატებოდა. სინამდვილეში ერთი ექსპონატი უფრო მეტი ღირს.

"ჯერჯერობით, მხოლოდ ინვესტორი ავარჩიეთ. ახლა, 20 დღის განმავლობაში, თუ საჭირო იქნება - უფრო დიდი ხნითაც, ხელშეკრულებაზე ვიმუშავებთ. ხელშეკრულება ხელმოწერამდე გამოქვეყნდება პრესაში და გადაიგზავნება პარლამენტში განსახილველად. მხოლოდ ყველა სამართლიანი შენიშვნის გათვალისწინების შემდეგ მოეწერება ხელი დოკუმენტს. აქვე ჩაიდება მუხლი, რომელიც ჭავჭავაძეების მამულისთვის სამეთვალყურეო საბჭოს არჩევას გულისხმობს. სამეთვალყურეო საბჭოში, სავარაუდოდ, ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლები და ცნობილი საზოგადო მოღვაწეები შევლენ," – განაცხადა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

მზრუნველთა საბჭო წინანდლის სახლ-მუზეუმში

სოფელ წინანდალში მდებარე ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის იჯარით აღებასთან დაკავშირებით, Silk Road Group ვალდებულებას იღებს, მაქსიმალურად გავითვალისწინოს საზოგადოების მოთხოვნები პროექტის განხორციელებისას. ამის შესახებ განცხადება Silk Road Group-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა გუშინ გაავრცელა. განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ ამ მიზნით, იქმნება მზრუნველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევლენ როგორც კომპლექსის განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ასევე ჭავჭავაძეების პირდაპირი შთამომავალი (მერაბ კოკოჩაშვილი) და სოფელ წინანდლის ადგილობრივი წარმომადგენელი. მზრუნველთა საბჭო მონაწილეობას მიიღებს ხელშეკრულების შედგენაში და გაატარებს საზოგადოების მოთხოვნებს პროექტთან დაკავშირებით, კურირებას გაუწევს კომპლექსში დაცული ექსპონატების ხელშეუხებლობას. აგრეთვე, მზრუნველთა საბჭო მონიტორინგს გაუწევს პროექტის განხორციელებას კომპლექსის ტერიტორიაზე და ხელშეკრულების პირობების დაცვას, რათა, საბოლოო ჯამში, კომპლექსის ტურისტულ და მეღვინეობის ცენტრად გადაქცევა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება მოხდეს.

24 საათი

მოკლედ

თბილისი. ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში პაატა დავითაია აცხადებს, რომ კონფლიქტის ზონაში პარტიზანული მოძრაობის განახლების შესახებ ლაპარაკი გალის ქართული მოსახლეობის მდგომარეობის გართულებამ განაპირობა. დავითაიას უჭირს იმის თქმა, ეს კამპანია შემთხვევითია თუ მიზანმიმართული, თუმცა აცხადებს, რომ გალის ქართული მოსახლეობის უკმაყოფილება დღითიდღე იზრდება. პაატა დავითაიას თქმით, პარტიზანულ მოძრაობას სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე გაუჭირდება და სერიოზული პრობლემები შეექმნება. "თუკი სათანადო სახელმწიფო სტრუქტურები არსებობენ, მაშინ პარტიზანული მოძრაობის განახლება ზედმეტია. სპონტანურად ამ მოძრაობის დაწყება შედეგს არ მოიტანს. აფხაზეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე უნდა იქნას აყვანილი. აფხაზეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის დამყარება სახელმწიფომ უნდა ითავოს," - განაცხადა პაატა დავითაიამ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში პაატა დავითაია აცხადებს, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარე ირაკლი ალასანია ცრუობს, როცა სეპარატისტების ლიდერთან სერგეი ბაღაფშთან საერთო ენის გამონახვის შესახებ საუბრობს. პაატა დავითაიას ამის დასამტკიცებლად ბაღაფშის ბოლო დროინდელი განცხადებები მოჰყავს, რომლის თანახმადაც, თუკი გალში მცხოვრები ქართველები აფხაზეთის ე.წ. მოქალაქეობაზე უარს იტყვიან, "მდინარის იქით" გააძევებს. ბაღაფშს მხედველობაში ჰქონდა მდინარე ენგური, რომელიც აფხაზეთს დანარჩენ საქართველოსგან ჰყოფს. სეპარატისტთა ლიდერის თქმით, გალში მხოლოდ ის პირები იცხოვრებენ, რომლებიც აფხაზეთის ახალ პასპორტებს მიიღებენ და საქართველოს მოქალაქეობაზე უარს იტყვიან. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ეროვნული თანხმობის დეკლარაციის შესახებ ოპოზიციის წარმომადგენლებთან კონსულტაციები დაიწყო. დეკლარაციის სამუშაო ვარიანტი პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დათო ბაქრაძემ მოამზადა. ბურჯანაძემ საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიულ ფრონტსა" და "მემარჯვენე" ოპოზიციის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები გამართა და დეკლარაციის დოკუმენტი განსახილველად დაურიგა. ოპოზიციის წარმომადგენლები დოკუმენტის შესახებ საკუთარ მოსაზრებებს პარლამენტის თავმჯდომარეს ერთ კვირაში მოახსენებენ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 11 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა მიიღო საქართველოში საბერძნეთის ახალი ელჩი ელეფთერიოს ანგელოპულოსი, რომელმაც მინისტრს რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა. ბეჟუაშვილმა და ანგელოპულოსმა ქართულ-ბერძნული თანამშრომლობის გაღრმავებაზე და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის საბერძნეთში დაგეგმილ ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

კასპი. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი შიდა ქართლს სტუმრობს. პრემიერი რეგიონში ეკონომიკური პროცესის მიმდინარეობით დაინტერესდა და კასპის რაიონში მოქმედი საწარმოები დაათვალიერა. კასპის რაიონის სოფელ აღაიანში ასფალტის და სპირტის ქარხნები სრული დატვირთვით მუშაობს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ახალი საწარმოების გახსნა და ამოქმედება ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია. მისივე თქმით, ამ საწარმოებში დაახლოებით 200 ადამიანია დასაქმებული.

ასფალტის ახალი ქარხნის ამოქმედება ამ ეტაპზე საჭირო იყო, რადგან ქვეყანაში გზების შეკეთება მომავალ წელსაც ანალოგიურ ტემპში გაგრძელდება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საავტომობილო გზების ზოგიერთ მონაკვეთში ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტში განაცხადეს, დიდთოვლობის გამო მოძრაობა აკრძალულია ბარისახო-შატილის 60-106 კმ-ში, სენაკი-ნოქალაქევი-ხონის 18 კმ-ში. მ ე - წყერის ჩამოწოლის გამო მოძრაობა აკრძალულია დმანისი - დიდი დმანისი-გომარეთის საავტომობილო გზის 57 კმ-ში. მარნეული-თეთრიწყარო-ნალკის საავტომობილო გზის 57 კმ-ში ავტოტრანსპორტის მოძრაობა მეწყრის ჩამოწოლის გამო ცალმხრივად არის შეზღუდული. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი:

ფედერალიზმი თუ უნიტარიზმი?

პირველი გვერდიდან

სეპარატიზმი

სეპარატისტული ტენდენცია განსახილველია არა იმდენად ეთნიკონფლიქტების, არამედ წმინდად გეოპოლიტიკური პრობლემის ჭრილში, რაც წარმოიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების და საბჭოთა იმპერიის დაშლის შედეგად, რომლის მემკვიდრეობაც დიდწილად რუსეთის ფედერაციამ განაპირობა. შედარებით მოაზროვნე საზოგადოებაც კი, რუსეთსა და საქართველოში, დიდხანს ვერ მიხვდა, რომ 1992 წლის პუტჩისა და აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ ურთიერთობები ძველებურად ვეღარ გაგრძელდებოდა და საჭირო იყო ქმედითი კონცეფციის შემუშავება, რომელიც დაარეგულირებდა ურთიერთობებს ამ ქვეყნებს შორის. სეპარატიზმის საკითხიც ხსენებულ კონტექსტში უნდა გადაწყვეტილიყო. ნაცვლად ამისა, რუსეთში ძლიერდებოდა სრულიად ბრიყვული ანტიქართული განწყობილება და იმპერიული ილუზია, ხოლო შევარდნაძის კანცელარიაში მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ბალანსირებითაც კმაყოფილნი იყვნენ. ამასობაში სხვადასხვა ფერის "რევოლუციებმა" ეს საკითხი, როგორც ჩანს, გარკვეული ხნით გადადო.

ჩვენს შემთხვევაში, როდესაც სამხედრო ძალის გამოყენებას საქართველოს კრიზისულ რეგიონებში შესაძლოა უდიდესი ტრაგედია და გამოუსნორებელი შედეგები მოჰყვეს, სეპარატიზმთან ურთიერთობის ერთადერთ იარაღად რჩება საერთაშორისო სამართალი და დიპლომატია, რაც გულისხმობს ამ კონფლიქტების ინტერნაციონალიზაციის უფრო ეფექტურ და ჩვენთვის სასარგებლო ფორმების მოსინჯვას. ბრძოლა საჭიროა არა იმდენად სეპარატიზმის გამოვლინებებთან, არამედ მის გამომწვევ მიზეზებთან და მასაზრდოებელ ფაქტორებთან. შეუძლებელია თითქმის საორმო მდგომარეობაში იმყოფებოდე რუსეთთან და იმავდროულად ფიქრობდე, რომ ფარატინა ქაღალდზე მოხაზულ კონსტრუქტს ფედერალურ სუბიექტებზე და გინდაც სრულ ავტონომიაზე ვინმე სერიოზულად მაინც გადახედავს სოხუმში ან ცხინვალში.

კიდევაც რომ დავუშვათ, რომ ერთ დღესაც რუსეთმა რეალურად თავისუფალი არჩევანი მისცეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ თვითაღიარებულ რესპუბლიკებს, თვითონ გადაწყვიტონ, უნდათ თუ არა საქართველოს შემადგენლობაში შემოსვლა, გადადგამენ ასეთ ნაბიჯს? დიდი სიბრძნე არ უნდა იმის მიხვედრას, რომ - არა. ნეტავ რა პერსპექტივამ უნდა მოხიბლოს ისინი, ეკონომიკურმა კეთილდღეობამ მათ მეზობლად თუ ყოველდღიურად მზარდმა ცხოვრების დონემ? ან იქნებ ქართული დემოკრატიის ჯერარნახულმა მიღწევებმა?

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ გარეშე ძალების ჩაურეველობის შემთხვევაში სეპარატიზმს საფუძველი უნდა გამოეცალოს კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობით და განმტკიცებით, ჯანსაღი რეგიონალიზმით, რეალური ავტონომიითა და სუბსიდიალურობით. ასევე ცნობილია, რომ ერთმანეთს ებრძვიან არა ეროვნული კულტურები ან რელიგიები, არამედ საგანგებო ძალაუფლებრივი და ეკონომიკური ეგოიზმით მოქმედი დაჯგუფებები. მაგრამ ჩვენს შიგნით გადავჭერით კი კონფლიქტები, რითიც დაღრღნილია ჩვენი ეროვნული სხეული? საქართველო, სამწუხაროდ, დაადგა გამარჯვებულებად და დამარცხებულებად, ყველაფრისმქონეებად და არაფრისმქონეებად, პროამერიკელებად და რუსოფილებად, ლტოლვილებად და ძირძველებად, ცენტრისტებად და სეპარატისტებად დაყოფის უმძიმეს გზას.

საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობის სრულუფლებიანი და ეფექტური მონაწილეობა ქვეყნის ცხოვრებაში გარანტირებული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს ეროვნული უმცირესობებისთვის როგორც მშობლიური ენისა და კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების პირობები, ისე სახელმწიფო ენის სრულყოფილი შესწავლის შესაძლებლობა.

უპირველესი და უმთავრესი სახელმწიფო ენა საქართველოში უნდა იყოს ქართული, თუმცა საქმის წარმოება შესაძლებელი უნდა იყოს რუსულ და ინგლისურ ენებზეც.

ფედერალიზმი

ფედერალური მოწყობის კლასიკური ქვეყნები ცენტრალურ ევროპაში არის გერმანია და შვეიცარია, თუმცა არც აღმოსავლეთ ევროპაში, არც რუსეთში და არც საქართველოში არ არსებობს ის დისციპლინა და სამოქალაქო ცნობიერება, რომელმაც ეს ფედერალური სისტემები აღმოაცენა და დღემდე მათ მამოძრავებელ ძალებად გვევლინება. შეიძლება ითქვას, ცენტრალურ ევროპაში სახეზეა ფედერალიზმი, როგორც ეროვნული კულტურის ნაწილი. ასევე ძალზე საინტერესოა ესპანური მოდელი, რომელიც ფორმალურად არ არის ფედერალური სახელმწიფო, ფაქტობრივად კი ეს არის ასიმეტრიული ფედერაცია, თავისი ბასკების ქვეყნით და კატალონიით, რომელსაც მინიჭებული აქვს საგანგებო სტატუსი.

საქართველოს, ამ 14-ოდე წლის წინათ დაშლილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მემკვიდრე ქვეყანას, საერთოდ არ შეხებია ნამდვილი ფედერალიზმის კულტურა. სსრკ (ისევე, როგორც დღეს, გარკვეულწილად, რუსეთი) ფორმალურად ფედერალური სახელმწიფო იყო, მაგრამ ფედერალიზმი მაინც იყო იდეოლოგიური ალიბი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის ხელმძღვანელობა და მმართველი პარტია მუდამ ლაპარაკობდა ეროვნულ თავისუფლებებზე, თვითგამორკვევის პრინციპზე, ავტონომიაზე ყველა ხალხისთვის. ისტორიაში ეს ყოველივე ფარისევლობად და პროპაგანდისტულ სიცრუედ დარჩა და გამოვლინდა ლეგიტიმურობის კრიზისის ხანის დადგომისთანავე. იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის მაგალითებიდან გამომდინარე, ფედერალიზმის შევიცარიელი ექსპერტი, დოქტორი თომას ფლაინერი თავის წიგნში წერს: **"კომუნისტური მთავრობები ქმნიდნენ და აღვივებდნენ ეთნიკურ კონფლიქტებს, რათა დარჩენილიყვნენ ხელისუფლებაში. დღეს ამ** (სეპარატისტულ – კ.გ.) **რეჟიმებს თუმცა გააჩნიათ გარკვეული კონსტიტუციურ-დემოკრატიული ფორმა, მაგრამ ამის უკან არ დგას სამოქალაქო საზოგადოება. ისინი ეფუძნებიან "პოლიტიკის ეთნიზაციის" და "ეთნიკური სიმბოლოების" სტრატეგიულ გამოყენებას. გარკვეული ინტერესების გატარებისთვის ხდება ეთნიკური იდენტობის ბოროტად გამოყენება, რომელთა მიღწევაც შეუძლებელი იქნებოდა ამ მიზნების ღიად გაცხადების შემთხვევაში."** ფლაინერი დაასკვნის, რომ კომუნისტური ბლოკის ქვეყნები **"რეალურად არასოდეს იყენებდნენ ჭეშმარიტ ფედერალურ პრინციპებს, როგორც მრავალეროვანი საზოგადოების კანონიერ კონსტიტუციურ მექანიზმს."**

უნიტარისტულ სახელმწიფოებს შეიძლება პირობითად ეწოდოს "ერთი ქალაქის ქვეყანა" (იგულისხმება ყველა თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის მქონე დედაქალაქი, როგორიცაა თუნდაც პარიზი საფრანგეთისთვის, მეტადრე 90-იან წლებამდე). ფედერალური სახელმწიფო კი, როგორც წესი, რამდენიმე ქალაქის ქვეყანაა, დედაქალაქი (ანუ ადმინისტრაციული ცენტრი) აქ განტვირთულია. საქართველო საბჭოთა პერიოდში, მეტადრე კი 90-იან წლებში, გახდა "ერთი ქალაქის ქვეყანა", თავისი თითქმის მილიონნახევრიანი თბილისით. არადა, საქართველოს ისტორიაში, დაქუცმაცებულობის ფაქტორის მიუხედავად, არასდროს ყოფილა ერთი ქალაქის უკიდურესი დომინირება: თბილისს სხვადასხვა დროს წარმატებით ეცილებოდნენ პირველობას მცხეთა, ქუთაისი, გორი, სამშვილდე, თელავი.

სახელმწიფომ უნდა შექმნას გარანტიები სამართლიანი და ადეკვატური ეკონომიკური წონასწორობისათვის ქვეყნის შემადგენლობაში შემავალ სხვადასხვა ერთეულს შორის. განსხვავება რეგიონების სტატუსთა შორის არ უნდა ანიჭებდეს მათ რაიმე ეკონომიკურ ან სოციალურ უპირატესობას. ცენტრისა და რეგიონების კომპეტენციები კანონით უნდა იყოს ერთმანეთისგან გამიჯნული.

მიამიტობა იქნებოდა იმის დაშვება, რომ ფედერალიზმი დღევანდელ საქართველოში იმუშავებს, რადგან მას სამოქალაქო საზოგადოების გარდა ესაჭიროება განვითარებული სახელმწიფოებრიობა, სამართლებრივი მართვის კულტურა და ეკონომიკური კეთილდღეობის გარკვეული დონე. დღეს კი საქართველოში არც ერთი ამ წინაპირობათაგან არ არის სახეზე. მიუხედავად ამისა, საჭიროა მომავალზე ფიქრი და სახელმწიფო მონყობის იმ ფორმების კონციპირება, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელი იქნება მომავალში.

ადგილობრივი თვითმმართველობა

პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" კონცეფცია არ ეფუძნება არც ფორმალურ საბჭოთა ფედერალიზმს, არც ფრანგულ ან თურქულ უნიტარიზმს, არც დასავლური ფედერალიზმის ფორმების ავტომატურ გადმოღებას.

ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა ასახავდეს საქართველოს კუთხეების კულტურულ მრავალფეროვნებას და სიმდიდრეს, ასევე - ადგილობრივი მოსახლეობის სპეციფიკასა და სულისკვეთებას. საქართველოს რეგიონების თვითმმართველობა და ძალაუფლების ჰორიზონტალი უნდა გაძლიერდეს. ამას არანაირად არ უწყობს ხელს თბილისიდან პრეზიდენტის მიერ დანიშნული გუბერნატორების, ამ "პროვინციული მეფეების" ანტიკონსტიტუციური და კორუმპირებული სისტემა. იგი უნდა გაუქმდეს. ასევე ცხადია: ძლიერი ცენტრის შექმნა შეუძლიათ მხოლოდ ძლიერ რეგიონებს.

ამისთვის შესაძლოა შამოღებულ იქნას რეგიონების წარმომადგენლობითი ორგანოები, რომელთაც შესაძლოა ეწოდოს "ერობა". მსგავსი ინსტიტუტი ისტორიულადაც არსებობდა საქართველოში. ერობები უნდა მოეწყოს მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, და მათ უნდა ჰქონდეთ შეზღუდული საკანონმდებლო ფუნქცია ქვეყნის კონსტიტუციის ფარგლებში, რაც, მაგალითად, შესაძლოა შეეხოს დაწყებით და საშუალო სკოლებს, ბუნებით სარგებლობას, სპორტულ ღონისძიებებს და ა.შ.

თითოეულ ერობასთან, ასევე, უნდა იარსებოს აღმასრულებელმა სამთავრობო საბჭომ. ყველა ერობას უნდა გააჩნდეს თავისი ბიუჯეტი, რომლისთვისაც, შესაძლოა, შემოღებულ იქნას შემოსავლის განსაზღვრული ყოველწლიური საერობო გადასახადი. რაც შეეხება კომუნალურ დონეს, ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში უნდა ფუნქციონირებდეს საკრებულო, ხოლო ყველა სოფელში - თემი.

ამ სტრიქონების წერისას ჩემთვის ცხადია, თუ რა მცირე შანსი აქვს დღევანდელ სინამდვილეში მსგავს იდეებს, რათა განხორციელდეს პრაქტიკაში. ეს პასაჟი არის მცდელობა, რომელიც თავსდება ვიზიონერობის სფეროში.

დიმა ავალიანის სვეტი

დაუსრულებელი რევოლუციის მოედანი

რესპუბლიკის მოედანს თბილისში ვარდების რევოლუციის სახელობის მოედანი უნდა დაერქვას, რომელსაც, გადასახლებული დავით აღმაშენებლის ძეგლის ადგილას, ვარდის მონუმენტი დაამშვენებს. თავისუფლების მოედანზე კი ზურაბ წერეთლის მიერ შესრულებული გამარჯვების მონუმენტი დაიდგმება.

თბილისი მონუმენტური შემოქმედებისა და ქანდაკებების აქეთ-იქით გადაადგილების ბუმმა მოიცვა. კონკრეტული მხატვრული შედევრებისადმი დამოკიდებულების მიუხედავად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვიღაცეები ქალაქს როგორც საკუთარ საძინებელს ან მისაღებ ოთახს, ისე აწყობენ, საკუთარი გემოვნების მიხედვით. თან ჭაღებს და "სტენკებს" ამა თუ იმ მეზობლის მსგავსად ირჩევენ. ჩვენ, მოქალაქეებს კი, ამ ახალმოწყობილ ბინაში რაღაც სტუმრების სტატუსი გვაქვს, რომლებსაც მხოლოდ ყურებისა და აღტაცების გამოთქმის უფლება აქვთ.

სვეტები, ტრიუმფალური თაღები და სხვა მონუმენტები ტრიუმფისა და გამარჯვების აღსანიშნავად იდგმება. მაგრამ "ვარდების რევოლუცია" საქართველოში ჯერ არ არის შემდგარი ფაქტი. მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა განხორციელდა, თუმცა რევოლუცია ლოგიკურ დასასრულამდე არ მისულა, და თუ მივა, არც ისე მალე. გამარჯვების ზეიმი ძალიან ნაადრევია.

სახელების გადარქმევითა და მონუმენტური შემოქმედებისადმი თავისი დამოკიდებულებით ხელისუფლება ამტკიცებს, რომ რევოლუციის მისეული ხედვა საზოგადოების ხედვის არაადეკვატურია. ანუ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ შევარდნაძის დროინდელი ჩინოვნიკების სახეების შეცვლა მათი, უფრო სიმპათიური სახეებით სწორედ რომ იყო რევოლუციის მიზანი და არსი. და ამით რევოლუცია დასრულდა.

თუმცა, იმ ხალხის დიდი ნაწილი, ვინც თუნდაც ორი წლის წინანდელ მოვლენებში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ ამისთვის თანამდებობა არ მიუღია, ასე სულაც არ ფიქრობს.

რადგან ჯერჯერობით სადავოა, გამართლდა თუ არა რევოლუციასთან დაკავშირებული საზოგადოების მოლოდინი. რევოლუციას დასრულება სჭირდება, სჭირდება საზოგადოების მიერ იმის ცალსახად აღიარება, რომ მან ქვეყანას რეალური წინსვლა მოუტანა.

დღეს საზოგადოებაში არსებობს კონსენსუსი იმაზე, რომ შევარდნაძის ხელისუფლების ნასვლა აუცილებელი იყო. მაგრამ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლების საქმიანობაზე და რევოლუციის რეალურ, ხელშესახებ შედეგებზე.

რისთვის მოხდა რევოლუცია? ნამდვილი დემოკრატიისთვის, ადამიანის უფლებების დაცვისთვის, კორუფციის აღმოფხვრისათვის, ეკონომიკური კეთილდღეობისათვის, კონფლიქტების მოგვარებისათვის და მრავალი სხვა რამისთვის. მათ შორის იმისთვის, რომ ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს დაცინვითა და ცინიზმით საუბარს ვეღარ უბედავდეს.

არის, ასრულდა მიზანი? ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს... სამაგიეროდ, იარსებს მოედანი და ძეგლი.

საერთოდ, რაიმე ისტორიული მოვლენის უკვდავყოფას თავად ამ მოვლენების მონაწილეთა მიერ უკეთეს შემთხვევაში ნარცისიზმის, ან, უარეს შემთხვევაში, ავტორიტარიზმის სუნი ასდის. შეფასება და ძეგლების დადგმა, როგორც წესი, მომავალი თაობების საქმეა.

ისე, შთაბეჭდილება იქმნება, რომ საკუთარი თავის "უკვდავყოფას" დღევანდელი ჩინოვნიკები იმიტომ ჩქარობენ, რომ მომავალში, სხვა ხელისუფალთ შეიძლება ასეთი სურვილი აღარ გაუჩნდეთ, და მათი ღვაწლი დაუფასებელი დარჩეს.

იგივე ეხება რევოლუციის თარიღის აღნიშვნისათვის მზადებას. სახალხო დღესასწაულებისა და საყოველთაო აღფრთოვანების "ზევიდან" ორგანიზება საბჭოური სიყალბისა და კომკავშირის მოგონებებს აღვიძებს.

ყველაფერი ეს რევოლუციის სახელით ელემენტარულ სპეკულირებას წაგავს. თუ რევოლუციას ძეგლი დაუდგეს, რევოლუციის ლოზუნგები და იმედები კი ნაგავში მოისროლეს, ამ ძეგლს და "ვარდების მოედანს" ზუსტად იმდენი დროით უწერია სიცოცხლე, რამდენი ხანიც დღევანდელ ხელისუფალთა პოლიტიკური კარიერა გაგრძელდება. თუ ქვეყანაში რევოლუცია დასრულდა, ისტორიაში მას სათანადო ადგილი ძეგლებით, ბიუსტებით, მოედნებით და სახალხო დღესასწაულებით თავისთავად, ძალდატანებისა და სამთავრობო დირექტივების გარეშე მოეძებნება.

უცხოეთი

ემოციური ვიზიტები ერაყში

ერაყი საერთაშორისო კოალიციის ჯარების გარეშე?

ნანა ნასყიდაშვილი

ერაყის პრეზიდენტი ჯალალ ტალაბანი ქვეყნიდან საერთაშორისო კოალიციის ჯარების გაყვანის თაობაზე ალაპარაკდა და ქვეყნიდან წასვლის პირველ კანდიდატად დიდი ბრიტანეთის სამხედრო დანაყოფები დაასახელა. თუმცა, ლიდერის თქმით, ერაყიდან უცხო ქვეყნის საჯარისო დანაყოფთა სასწრაფო გასვლამ, შესაძლოა, სამოქალაქო ომის დაწყება განაპირობოს.

კოფი ანანმა არაბულ სახელმწიფოთა ინიციატივა ნაციონალური შერიგების თაობაზე დადებითად შეაფასა.

ერაყის პრეზიდენტმა ჯალალ ტალაბანიმ ქვეყნიდან საერთაშორისო კოალიციის ჯარების გაყვანის თაობაზე საუბარი დაიწყო. მისი თქმით, ერაყში უცხო ქვეყნების საჯარისო ნაწილთა ხანგრძლივი დროით დარჩენა ადგილობრივი მოსახლეობისათვის სასურველი არ არის. **"ერაყის სამხედრო დანაყოფები უკვე ერთი წლის შემდეგ, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში განლაგებულ ბრიტანელ სამხედროთა შეცვლას ეძლებენ. ამასთანავე, მე კარგად მესმის იმ ბრიტანელებისა, ვისაც საკუთარი შვილების სამშობლოში დაბრუნება სურთ. სამხედროებმა შეასრულეს მათზე დაკისრებული მისია – ერაყში დიქტატურა აღარ არსებობს,"** – აღნიშნა ჯალალ ტალაბანიმ ბრიტანულ ტელეარხ "აი-ტი-ვი"-სთან ინტერვიუში. თუმცა, ერაყის ლიდერის თქმით, ქვეყნიდან საერთაშორისო კოალიციის სასწრაფოდ გაყვანა ერაყში სამოქალაქო ომს გამოიწვევს და ქვეყნისთვის სავალალო შედეგებს მოიტანს. ჯალალ ტალაბანმა მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ქვეყანაში მოსალოდნელ ძალადობის ზრდაზეც ისაუბრა. თუმცა, ლიდერის თქმით, ექსტრემისტთა ქმედებები არჩევნებგამოყენება, რომელთა მიღწევაც შეუძლებელი იქნებოდა ამ მიზნების ღიად გაცხადების შემთხვევაში." ფლაინერი დაასკვნის, რომ კომუნისტური ბლოკის ქვეყნები **"რეალურად არასოდეს იყენებდნენ ჭეშმარიტ ფედერალურ პრინციპებს, როგორც მრავალეროვანი საზოგადოების კანონიერ კონსტიტუციურ მექანიზმს."**

უნიტარისტულ სახელმწიფოებს შეიძლება პირობითად ეწოდოს "ერთი ქალაქის ქვეყანა" (იგულისხმება ყველა თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის მქონე დედაქალაქი, როგორიცაა თუნდაც პარიზი საფრანგეთისთვის, მეტადრე 90-იან წლებამდე). ფედერალური სახელმწიფო კი, როგორც წესი, რამდენიმე ქალაქის ქვეყანაა, დედაქალაქი (ანუ ადმინისტრაციული ცენტრი) აქ განტვირთულია. საქართველო საბჭოთა პერიოდში, მეტადრე კი 90-იან წლებში, გახდა "ერთი ქალაქის ქვეყანა", თავისი თითქმის მილიონნახევრიანი თბილისით. არადა, საქართველოს ისტორიაში, დაქუცმაცებულობის ფაქტორის მიუხედავად, არასდროს ყოფილა ერთი ქალაქის უკიდურესი დომინირება: თბილისს სხვადასხვა დროს წარმატებით ეცილებოდნენ პირველობას მცხეთა, ქუთაისი, გორი, სამშვილდე, თელავი.

სახელმწიფომ უნდა შექმნას გარანტიები სამართლიანი და ადეკვატური ეკონომიკური წონასწორობისათვის ქვეყნის შემადგენლობაში შემავალ სხვადასხვა ერთეულს შორის. განსხვავება რეგიონების სტატუსთა შორის არ უნდა ანიჭებდეს მათ რაიმე ეკონომიკურ ან სოციალურ უპირატესობას. ცენტრისა და რეგიონების კომპეტენციები კანონით უნდა იყოს ერთმანეთისგან გამიჯნული.

მიამიტობა იქნებოდა იმის დაშვება, რომ ფედერალიზმი დღევანდელ საქართველოში იმუშავებს, რადგან მას სამოქალაქო საზოგადოების გარდა ესაჭიროება განვითარებული სახელმწიფოებრიობა, სამართლებრივი მართვის კულტურა და ეკონომიკური კეთილდღეობის გარკვეული დონე. დღეს კი საქართველოში არც ერთი ამ წინაპირობათაგან არ არის სახეზე. მიუხედავად ამისა, საჭიროა მომავალზე ფიქრი და სახელმწიფო მონყობის იმ ფორმების კონციპირება, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელი იქნება მომავალში.

ადგილობრივი თვითმმართველობა

პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" კონცეფცია არ ეფუძნება არც ფორმალურ საბჭოთა ფედერალიზმს, არც ფრანგულ ან თურქულ უნიტარიზმს, არც დასავლური ფედერალიზმის ფორმების ავტომატურ გადმოღებას.

ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა ასახავდეს საქართველოს კუთხეების კულტურულ მრავალფეროვნებას და სიმდიდრეს, ასევე - ადგილობრივი მოსახლეობის სპეციფიკასა და სულისკვეთებას. საქართველოს რეგიონების თვითმმართველობა და ძალაუფლების ჰორიზონტალი უნდა გაძლიერდეს. ამას არანაირად არ უწყობს ხელს თბილისიდან პრეზიდენტის მიერ დანიშნული გუბერნატორების, ამ "პროვინციული მეფეების" ანტიკონსტიტუციური და კორუმპირებული სისტემა. იგი უნდა გაუქმდეს. ასევე ცხადია: ძლიერი ცენტრის შექმნა შეუძლიათ მხოლოდ ძლიერ რეგიონებს.

ამისთვის შესაძლოა შამოღებულ იქნას რეგიონების წარმომადგენლობითი ორგანოები, რომელთაც შესაძლოა ეწოდოს "ერობა". მსგავსი ინსტიტუტი ისტორიულადაც არსებობდა საქართველოში. ერობები უნდა მოეწყოს მსხვილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, და მათ უნდა ჰქონდეთ შეზღუდული საკანონმდებლო ფუნქცია ქვეყნის კონსტიტუციის ფარგლებში, რაც, მაგალითად, შესაძლოა შეეხოს დაწყებით და საშუალო სკოლებს, ბუნებით სარგებლობას, სპორტულ ღონისძიებებს და ა.შ.

თითოეულ ერობასთან, ასევე, უნდა იარსებოს აღმასრულებელმა სამთავრობო საბჭომ. ყველა ერობას უნდა გააჩნდეს თავისი ბიუჯეტი, რომლისთვისაც, შესაძლოა, შემოღებულ იქნას შემოსავლის განსაზღვრული ყოველწლიური საერობო გადასახადი. რაც შეეხება კომუნალურ დონეს, ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში უნდა ფუნქციონირებდეს საკრებულო, ხოლო ყველა სოფელში - თემი.

ამ სტრიქონების წერისას ჩემთვის ცხადია, თუ რა მცირე შანსი აქვს დღევანდელ სინამდვილეში მსგავს იდეებს, რათა განხორციელდეს პრაქტიკაში. ეს პასაჟი არის მცდელობა, რომელიც თავსდება ვიზიონერობის სფეროში.

ძალიან დინჯი აქცია

პირველი გვერდიდან

"ეს არის ჩვენი ერთობლივი საქმე, რათა საზოგადოების წელში გასწორება მოვახერხოთ. ეს არის ერთადერთი საშუალება, რათა საზოგადოებამ თავისი როლი ითამაშოს დღევანდელ საქართველოში," – მიმართა გუშინდელი აქციის ავტორმა საზოგადოებას.

"კრიმინალების ადგილზე ხოცვა უკვე პრაქტიკაში გადავიდა და პირველი მაგალითიც მივიღეთ. ეს აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას ჩვენს საზოგადოებაში, რადგან ევროპულ გზაზე მიმავალი საქართველოსთვის მიუღებელია. უდანაშაულობის პრეზუმფციის მოშლა, ან ანონიმური მითითება, რომელიც აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს, არის ადამიანის უფლებების უპრეცედენტო დარღვევა," - აღნიშნული მოსაზრების შემცველი მიმართვა ზურაბიშვილის მხარდამჭერებს რუსთაველის გამზირზე დაურიგეს.

აქცია, რომელიც ათას კაცზე მეტს ითვლიდა, პირველად ილიასა და აკაკის ძეგლთან შეჩერდა, შემდეგ - 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალთან.

რა იქნება თქვენი შემდეგი ნაბიჯი?

ნაბიჯი წინ, – ასეთი გახლდათ სალომე ზურაბიშვილის პასუხი.

გუშინდელმა აქციამ ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა და ორგანიზატორთა მოთხოვნა, "ვიაროთ ტროტუარზე", ყველამ ყურად იღო. ფეხით მოსიარულეებს ნაბიჯ-ნაბიჯ საპატრულო პოლიციაც მიჰყვებოდა.

"ქვეყანაში, სადაც სიკვდილით დასჯა აკრძალეს და დახვრეტა გაუქმეს, თვითონ ხვრეტენ ხალხს? ძალიან ცუდია, როდესაც პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი ერთპიროვნულად წყვეტენ ადამიანთა ლიკვიდაციას. მაშინ, ციხეები რად გვინდა? სალომე ზურაბიშვილი ქვეყნის სასიკეთოდ მოქმედებს. იქნებ, ამ ქალბატონის მოქმედებამ აზრი დაუბრუნოს და გონება გაუნათოს იმ უთავო მხედრებს, რომლებიც პარლამენტში სხედან," – გვითხრა ზურაბიშვილის მხარდამჭერმა ეთერ ბუაჩიძემ.

ჯანრი კაშიას აზრით, ქუჩაში შეშფოთებული მოსახლეობა გამოვიდა.

"ევროპას და ამერიკას რომ ვბაძავთ, იკითხოს ჩვენმა პრეზიდენტმა, რა რაოდენობის სოციალურ დახმარებას ან ხელფასს იღებს თითოეული ევროპელი და ამერიკელი?" – ხმამაღლა გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს აქციის წევრები. მათ შორის იყო რამდენიმე დღის წინ პოლიციის მიერ ლიკვიდირებული ლევან გულუას ნათესავიც.

"რომ ესროლეს და მოკლეს, დაეჭირათ და ეკითხათ, რატომ ქურდავდა ბინას? 8 წლის წინ გამოკეტილი კარის გაღებას ცდილობდნენ. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ოჯახი ჰყავდა მშიერი. მამა და ბაბუა აფხაზეთის ომში დაეღუპა. ძალიან უჭირდათ. სწორედ ეს გახლდათ იმ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი, რაც 18 წლის ახალგაზრდამ ჩაიდინა და რისი გულისთვისაც მოკლეს," – გვითხრა ზაურ ზარიძემ და დასძინა: **"გალამაზებული თბილისი კარგი სანახავია, მაგრამ ამდენი ფული თუ აქვს ჩვენს მთავრობას, ჯერ ხალხს მიხედონ, შიმშილით რომ კვდებიან. ეს ხალხის დაცინვაა."**

მსვლელობა რესპუბლიკის მოედანზე, სიმბოლურად იმ ადგილას დაიშალა, სადაც დავით აღმაშენებლის ძეგლი იდგა. **"დაგვიძახეთ და თქვენთან ვიქნებით,"** – ამ სიტყვებით დაშორდნენ გუშინდელი აქციის "ავტორს" შეკრებილები, თავის მხრივ კი სალომე ზურაბიშვილი მათ მომავალ შეხვედრამდე დაემშვიდობა.

მორიგების კიდევ ერთი წარუმატებელი მცდელობა

პირველი გვერდიდან

მათ ირანს სამოქალაქო მიზნებისთვის ატომური პროგრამის განხორციელების გაგრძელება შესთავაზეს - იმ პირობით, რომ ურანის გამდიდრების პროცესს ირანი რუსეთში გადაიტანდა. ეს შესანიშნავი საშუალება იქნებოდა ოფიციალური თეირანისთვის, ეჭვები გაეფაფრა, რომ ბირთვული პროგრამა იარაღის შესაქმნელად სჭირდებოდა. როგორც აღმოჩნდა, ირანი თანახმაა სხვა ქვეყნებს ურანის გამდიდრების პროცესში მონაწილეობის საშუალება მისცეს – ოღონდ ეს პროცესი ირანის შიგნით უნდა განხორციელდეს.

ირანის ატომური ენერგეტიკის პროგრამის ხელმძღვანელმა, ღოლამრეზა აღაზადემ შაბათს თეირანში რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანთან, იგორ ივანოვთან შეხვედრის შემდეგ კატეგორიულად განაცხადა, რომ ირანის ბირთვული საწვავი ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა იწარმოებოდეს.

თეირანში ჩასვლისას იგორ ივანოვის მიერ გაკეთებულმა კომენტარებმა ჟურნალისტებს საფუძველი მისცა, გამოეთქვათ ვარაუდი, რომ რუსეთი ირანს ურანის გადამუშავების საკუთარი პროგრამის გაგრძელებას სთავაზობს, ოღონდ იმ პირობით, რომ პროცესის ბოლო სტადია რუსეთში ჩატარდება. მოსკოვის ამ ინიციატივას აშშ-მ და ევროკავშირმაც დაუჭირეს მხარი.

იმ შემთხვევაში, თუ ირანი დათანხმდებოდა ამ წინადადებას, მის ბირთვულ დოსიეს ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო (მაგატე) აღარ გადასცემდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს განსახილველად. შესაბამისად, მოიხსნებოდა ირანისთვის გაერო-ს სანქციების დაწესების საფრთხეც. ახლა კი, თეირანის უარის შემდეგ, როგორც სააგენტო "როიტერსი" დიპლომატიური წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, ევროკავშირი და აშშ ერთად შეეცდებიან ირანის ბირთვული დოსიეს უშიშროების საბჭოსთვის გადაცემას. სავარაუდოდ, ეს საკითხი 24 ნოემბერს დანიშნულ მაგატე-ს მმართველთა საბჭოს სხდომაზე გადაწყდება.

აღსანიშნავია, რომ, მოგვიანებით, ირანის საინფორმაციო სააგენტო "ირნა"-სათვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა უარყო ირანის ოფიციალური პირებისთვის რაიმე კომპრომისული წინადადების შეთავაზების ფაქტი.

თავის მხრივ ირანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მის მთავრობას ახალი წინადადებები კი არა, არამედ ირანის კანონიერი უფლებების მიმართ ახლებური მიდგომა სჭირდება.

აშშ და ევროკავშირი შიშობენ, რომ ირანის ხელისუფლება საიდუმლოდ ქმნის ბირთვულ იარაღს და თეირანისგან მოითხოვენ, უარი თქვას საკუთარ ბირთვულ პროგრამაზე. თუმცა, თეირანი ამტკიცებს, რომ ბირთვულ სფეროში მისი გამოკვლევები მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან ხასიათს ატარებს.

24 საათი

პანაფრიკანიზმის იდეა კვლავ აქტუალური ხდება

ხათუნა გაბიევი

მეოცე საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბებული პანაფრიკული ერთიანობის იდეა კვლავ აქტუალურია. გასულ საუკუნეში დამოუკიდებლობამოპოვებული აფრიკული სახელმწიფოები ორდღიან სამიტზე ამჯერად უკვე ინტეგრაციის საკითხებს განიხილავდნენ. სწორედ ამ მიზნით, აფრიკის კონტინენტის შვიდი მეტნაკლებად განვითარებული სახელმწიფოების ლიდერები ნიგერიის დედაქალაქში შეიკრიბნენ.

აბუჯაში შეკრებილ ლიდერებს შორის იყვნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი ტაბო მბეკი და აფრიკული კავშირის კომისიის ოფიციალური წარმომადგენელი ალფა უმარი.

ლიბიის ლიდერი მოამარ კადაფი აფრიკის შეერთებული შტატების შექმნის იდეით ჯერ კიდევ 4 წლის წინ გამოვიდა, თუმცა მაშინ ამ წინანადებას აფრიკელები სკეპტიკურად შეხვდნენ. მაგრამ როგორც ირკვევა, შავი კონტინენტის პოლიტიკური დამოუკიდებლობა თანამედროვე პირობებში სულ უფრო საინტერესო და მიმზიდველი თემა ხდება.

ნიგერიის სამიტზე პოლიტიკური რეფორმების პარალელურად, ეკონომიკურ საკითხებზეც იმსჯელ

ნარკოტიკების რეალიზაციიდან ლევან კალაძის გატაცებამდე

პირველი გვერდიდან

მიუხედავად ლევან კალაძის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში გამეფებული დუმილისა, ორი დღის წინ ნარკოტიკის რეალიზაციის ფაქტზე დაპატიმრებული ნოდარ გვიჩიანის გვარის გაჟღერებამ ბევრს მაინც გახმაურებული გატაცება გაახსენა. ეს ის გვიჩიანია, რომელსაც "სვანური დაჯგუფების" ერთ-ერთ წევრად მოიხსენიებენ, მის ძმას ნუგზარ გვიჩიანს კი რამდენიმე ადამიანის გატაცებისა და მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნარკოტიკების უკანონო რეალიზაციაში ბრალდებულ ნოდარ გვიჩიანს წინასწარ სამთვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდა. ჩვენი ინფორმაციით, გვიჩიანი, დაახლოებით, 300-მდე აბი ნარკოტიკული ნივთიერება "სუბუტექსის" აღმოჩენის გამო დააკავეს. გვიჩიანის დაკავებისთანავე გაჩნდა კითხვა – ხომ არ უკავშირდება მისი დაპატიმრება ლევან კალაძის საქმეს? ბრალდების და დაცვის მხარე ამ საკითხთან დაკავშირებით ერთსულოვანია, ისინი გვიჩიანის დაპატიმრების კავშირს კალაძის საქმესთან კატეგორიულად უარყოფენ.

არადა, ნოდარ გვიჩიანი კალაძის საქმესთან დაკავშირებით პირდაპირ და ირიბად ორჯერ უკვე იყო დაპატიმრებული და ორჯერვე, მტკიცებულების არარსებობის გამო გაათავისუფლეს.

თავდაპირველად ნოდარ გვიჩიანი ლევან კალაძის მეგობართან დავით კვიჟინაძესთან ერთად დაუპატიმრეს. მათ ბრალი კალაძის ოჯახისთვის ფულის გამოძალვაში ედებოდათ. ოფიციალური ინფორმაციით, დავით კვიჟინაძემ ლევან კალაძის ოჯახს შეატყობინა, რომ ომეხ აფრასიძისთვის ცნობილი იყო ლევან კალაძის ადგილსამყოფელი და ინფორმაციის სანაცვლოდ 200 ათას დოლარს ითხოვდა. კალაძეებმა აღნიშნული თანხა კვიჟინაძეს მართლაც გაატანეს, მან კი თანხა აფრასიძეებთან გვიჩიანის მეშვეობით მიიტანა. გამოძიებამ საბოლოოდ დაადგინა, რომ ნოდარ გვიჩიანმა თანხა სვანეთში მართლაც ჩაიტანა და აფრასიძეებს გადასცა - ანუ მას გამოძალვა არ დაუმტკიცდა და ცოტა ხანში გაათავისუფლეს კიდეც.

არაოფიციალურად კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს 200 ათასდოლარიანი აფერა პოლიციაში დაიგეგმა, რათა კალაძის საქმეში აფრასიძეების გვარი დაფიქსირებულიყო და გვიჩიანი მხოლოდ გამოიყენეს.

თუმცა, ვიდრე აფრასიძეების ოჯახზე სპეცოპერაცია განხორციელდებოდა, ნოდარ გვიჩიანის გვარმა პოლიციასთან თანამშრომლობაში ოფიციალურადაც გაიჟღერა. ბარამიძის მინისტრობის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალურად გაუხსნელი, გახმაურებული გატაცებების გამოძიების მიზნით შექმნილი ოპერატიულ-სამძებრო სამმართველოს ყოფილმა ხელმძღვანელმა ბათუ საღინაძემ ახალ ხელმძღვანელობასთან დაპირისპირების შემდეგ ოფიციალურად განაცხადა, რომ ლევან კალაძის გატაცებასთან დაკავშირებით მას საკმარისი მტკიცებულებები აქვს, მაგრამ საქმის გახსნაში ხელს პოლიციის მაღაჩინოსნები უშლიან (იგი ჯერ თანამდებობიდან გაათავისუფლეს, შემდეგ კი ბინიდან გაასახლეს). თავის დროზე ბათუ საღინაძემ ისიც აღნიშნა, რომ კალაძის გატაცების საქმის მოკვლევაში აქტიურად ეხმარებოდა ნოდარ გვიჩიანი, რომელიც გარკვეულ ინფორმაციას ფლობდა. პოლიციასთან თანამშრომლობის გამო, პოლკოვნიკი საღინაძე გვიჩიანის ხელშეუხებლობას ითხოვდა. სხვათა შორის, იგი აწარმოებდა მოლაპარაკებას თანამშრომლობაზე ომეხ აფრასიძესთანაც, რაც, ფაქტობრივად, მიღწეული იყო, მაგრამ მისთვის მოულოდნელად სოფელ ეცერში სპეცოპერაცია ჩატარდა, რა დროსაც ომეხ აფრასიძე საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. ნოდარ გვიჩიანი კი სპეცოპერაციიდან ცოტა ხანში ნარკოტიკების რეალიზაციის და იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააპატიმრეს.

ბათუ საღინაძე დღესაც მიიჩნევს, რომ პოლიციის მაღალჩინოსნებს აფრასიძეების ლიკვიდაცია და ნოდარ გვიჩიანის დაპატიმრება იმისთვის დასჭირდათ, რომ ლევან კალაძის საქმე არ გაიხსნას, რადგან, შესაძლოა, აღნიშნული გატაცება მაღალჩინოსან პოლიციელებს დაუკავშირდეს.

ნოდარ გვიჩიანს დანაშაული მეორე დაპატიმრების შემდეგაც ვერ დაუმტკიცეს და იგი, დაახლოებით, ერთი თვის წინ გაათავისუფლეს.

ბათუ საღინაძემ ჩვენთან საუბრისას არ გამორიცხა, რომ ნოდარ გვიჩიანი ახლაც კალაძის საქმის გამო იყოს დაატიმრებული, თუმცა არა იმიტომ, რომ საქმე რეალურად გახსნან, არამედ იმიტომ, რომ ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დაანახონ საზოგადოებას, რომ რაღაცას აკეთებენ.

რეალურად დაუკავშირდება თუ არა ნოდან გვიჩიანის სახელი ლევან კალაძის საქმეს, ოფიციალურად არავინ ამბობს. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე დავით გოგიბერიძე ლევან კალაძის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს, თუმცა აღნიშნავს, რომ, მინისტრის დავალებით, აღნიშნულ საქმეზე ინტენსიური გამოძიება მიმდინარეობს. სხვათა შორის, ლევან კალაძის საქმის გამოძიება გოგიბერიძის ცოტა ხნის წინ დაექვემდებარა. მანამდე ამ გამოძიებას მინისტრის მოადგილე ლევან გვაზავა ხელმძღვანელობდა. გვაზავას სახელს კი უშუალოდ უკავშირებენ აფრასიძეების ოჯახზე განხორციელებულ სპეცოპერაციას - თავის დროზე ნოდარ გვიჩიანის დაპატიმრებას და ბოლოს სოფელ ეცერში აღმოჩენილ სამარხს, სადაც, ვითომდა, ლევან კალაძის ცხედარიც უნდა ყოფილიყო.

ყველაზე მეტი მაყურებელი "პატრულს" სამეგრელოში ჰყავს

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურმა გამოკითხვა ჩაატარა და 50 ათასზე მეტი გამოკითხული რესპონდენტისგან საპატრულო პოლიციისა და გადაცემა "პატრულისადმი" საზოგადოების დამოკიდებულების დადგენას შეეცადა.

გამოკითხვის მიხედვით, გამოკითხულთა 95 პროცენტი გადაცემა "პატრულს" უყურებს და მოსწონს კიდეც; ასევე, გამოკითხვისას გამოიკვეთა, რომ სამეგრელოს რეგიონში გადაცემა "პატრულს" გამოკითხულ რესპონდენტთა 100 პროცენტი უყურებს.

ყველაზე ცოტა მაყურებელი "პატრულს" სამცხე-ჯავახეთში ჰყავს და მათი რიცხვი გამოკითხულთა 9,35 პროცენტს შეადგენს.

მთლიანად საპატრულო პოლიციის მიმართ ნდობა და კეთილგანწყობა გამოკითხულთა 78-მა პროცენტმა დაადასტურა, უარყოფითადაა განწყობილი 3 პროცენტი, 10-მა პროცენტმა კი შეფასება არ გააკეთა. პატრულის თავაზიანობითა და საზოგადოების მიმართ კეთილგანწყობით მოხიბლულია გამოკითხულ რესპონდენტთა 76 პროცენტი; უკმაყოფილო – 11 პროცენტი, 13 პროცენტი კომენტარისგან თავს იკავებს.

გამოკითხულთა 68 პროცენტი მიიჩნევს, რომ პოლიციის თანამშრომლობა პრესტიჟულია, 18 პროცენტისთვის – საამაყოა, დარჩენილ 14 პროცენტში კი ის რესპონდენტები აღმოჩნდნენ, რომელთაც პასუხის გაცემა გაუჭირდათ ან პოლიციის თანამშრომლობა სამარცხვინოდ მიაჩნიათ.

გამოკითხულთა 93.1 პროცენტი პოლიციას ენდობა. აქედან 39 პროცენტი ნდობის უმთავრეს მიზეზად პოლიციის მაღალ პროფესიონალიზმს ასახელებს. გამოკითხულთა 6.9 პროცენტი პოლიციას უნდობლობას უცხადებს, მათგან 3.3 პროცენტი მთავარ მიზეზად კორუფციას ასახელებს.

გამოკითხულთა 83 პროცენტი მიიჩნევს, რომ პოლიციის საქმიანობა გაუმჯობესდა, 3 პროცენტს მიაჩნია, რომ გაუარესდა, 6 პროცენტის აზრით კი - არ შეცვლილა, 8 პროცენტს პასუხის გაცემა გაუჭირდა. საშიშია თუ არა დაბინდებისას გარეთ გასვლა? გამოკითხულთა 87.6 პროცენტი მიიჩნევს, რომ - არა, ხოლო საღამოს სახლში მარტო ყოფნა უსაფრთხოდ 85.9 პროცენტს მიაჩნია.

ჯი-ეიჩ-ენი

აფხაზებმა დაკავებული სატვირთო გემი გაათავისუფლეს

აფხაზეთის მიმდებარე წყლებში ტექნიკურ სადამკვირვებლო სასაზღვრო პოსტთან, რომელიც "გაგიდა"-ს ტრავერსზე მდებარეობს, სეპარატისტებმა ლიბიისა და საქართველოს დროშით მცურავი სატვირთო გემი დააკავეს. სეპარატისტული სოხუმის სამთავრობო ინფორმაციის სამსახურის ცნობის თანახმად, გემი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიცურავდა.

ამ სამსახურის უფროსის ქრისტიან ბჟანიას თქმით, რამდენიმე გაფრთხილების მიუხედავად, გემის ეკიპაჟს რეაგირება არ მოუხდენია, რის შემდეგაც იგი დააკავეს.

აფხაზები აცხადებენ, რომ სატვირთო გემის ეკიპაჟს ფოთის პორტის თანამშრომლებმა ჩრდილოეთის მიმართულებით გადაადგილების უსაფრთოხების გარანტიები მისცეს, რადგან "აფხაზეთის ტერიტორიული წყლები საქართველოს შემადგენლობაში შედის".

სეპარატისტული ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ გემი აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ იმყოფებოდა და სწორედ ამის გამო დააკავეს.

ქრისტიან ბჟანიას ინფორმაციით, საქმის დეტალების გარკვევის შემდეგ სატვირთო გემი გაათავისუფლეს. გემის ეკიპაჟი სირიის, ეგვიპტისა და ლიბიის მოქალაქეებისგან შედგებოდა. როგორც საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტში აცხადებენ, მათ აფხაზების მიერ გემის დაკავების შესახებ არაფერი იციან.

მედიანიუსი

მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას

ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში

2005-2006 სასწავლო წლისათვის

მასმედიისა და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (ჟურნალისტიკა – პრესა, რადიო, ტელევიზია, პროგრამის წამყვანი, სპორტული ჟურნალისტიკა).

ინსტიტუტში სწავლის ღირებულებაა – 1 სპეციალობაზე 800 ლარი, ხოლო 2 სპეციალობაზე 1000 ლარი; მაგისტრატურაში – 1000 ლარი.

შესაძლებელია გადმოსვლა ნებისმიერ კურსზე.

ინსტიტუტში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

განცხადება-ანკეტა რექტორის სახელზე.

საშუალო სკოლის (ლიცეუმის) დამთავრების ატესტატი.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ფურცელი დადებითი შედეგების შემთხვევაში.

4 ფოტოსურათი 3/4.

პირადობის საბუთს წარმოადგენენ პირადად.

განცხადებები მიიღება გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაში, მისამართზე: მ. კოსტავას ქ.14, 4 სართული, ოთახი 20. ტელ:366496; 995665; 624266; 899 226262; 232208.

The British Airways Sale

FROM $240*

LONDON HEATHROW RETURN

3 FLIGHTS A WEEK

To book, visit ba.com, call us on (32) 940 719/20 or see a travel agent.

BRITISH AIRWAYS

Fare quoted is for a return economy flight departing from Tbilisi and excludes all taxes, fees and charges correct as at 26/10/05. Flights must be booked on or before 31/03/06 and outbound travel completed on or before 31/03/06. Fares are subject to availability and are non-refundable. For full terms and conditions, visit ba.com. Services operated by BMED.

მოკლედ

აფხაზი კრიმინალები ქართულ ოჯახებს თავს დაესხნენ

გუშინ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში, ყოფილი მეურნეობის შენობაში აფხაზი ბოევიკები თავს დაესხნენ შენობაში მცხოვრები ქართველი დევნილების ოჯახებს.

შენობაში ამჯერად გალის რაიონის სხვადასხვა სოფლიდან დევნილი, დაახლოებით, 100-მდე ქართველი ცხოვრობს.

უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობის შენობა მდებარეობს რუსეთის სამშვიდობო ძალების პოსტიდან, სულ რაღაც, 200-იოდე მეტრში. თვითმხილველთა ინფორმაციით, აფხაზი ბოევიკები რუსეთის სამშვიდობო ძალების ჯავშანტექნიკით მივიდნენ; მეტიც, თავდამსხმელთა შორის რუსი ეროვნების პირებიც იყვნენ, ისინი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, თავდამსხმელები იმუქრებოდნენ, რომ თუკი ქართველები აფხაზეთის ე.წ. მოქალაქეობის მიღებაზე უარს განაცხადებენ, მათ სასტიკად გაუსწორდებიან.

შელაპარაკების შემდეგ აფხაზმა ბოევიკებმა დაიწყეს უმისამართო სროლა, ხოლო შემდეგ ხალხის მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლეს. სროლის შედეგად დაიჭრა სამი ქართველი. სამივე მათგანი გადაიყვანეს გალის საავადმყოფოში, ერთ-ერთი კი – ხვიჩა არქანია, ოპერაციის ჩატარებამდე გარდაიცვალა. ორი დაჭრილი ქართველის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია, თუმცა ექიმები აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთის მდგომარეობა შედარებით მძიმეა. **24 საათი**

13 წლის ბავშვს ხელში თვითნაკეთი საგანი აუფეთქდა

შაბათს თბილისში, მცხეთის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის გამო, სისხლის სამართლის საქმე სხეულის დაზიანების მუხლით აღიძრა.

ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის საგამოძიებო ნაწილის ცნობით, 13 წლის ლევან რჩეულიშვილმა სახლთან ფეთქებადი თვითნაკეთი საგანი იპოვა, რომელიც აფეთქდა და ბავშვმა სხეულის დაზიანება მიიღო. საგამოძიებო ნაწილში არ ადასტურებენ აქამდე გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ბავშვი თავდამსხმელებმა დაჭრეს.

როგორც ცნობილია, შაბათს მცხეთის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის შედეგად 13 წლის ლევან რჩეულიშვილი დაშავდა. მას დაზიანება გულ-მკერდის მარჯვენა არეში აქვს მიყენებული.

თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რჩეულიშვილი ბრმა ტყვიის გასროლის შედეგად დაიჭრა. მოგვიანებით გავრცელდა ვერსია ყაჩაღობის შესახებ, თითქოს ლევან რჩეულიშვილს სადარბაზოში დაუდგენელი პირები მობილურის წართმევის მიზნით აყაჩაღებდნენ. თუმცა, არც ერთ ამ ვერსიას ოფიციალურად არ ადასტურებენ.

შაბათსვე ლევან რჩეულიშვილს იაშვილის სახელობის კლინიკაში სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. მისი მდგომარეობა სტაბილურია და მოზარდის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ლევან რჩეულიშვილის ახლობლები მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ. **ინტერპრესნიუსი**

გათავისუფლებული მსჯავრდებული ბინით უზრუნველჰყვეს

საქართველოში პრობაციის სამსახურის სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიუროს დახმარებით, პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ უსახლკაროდ დარჩენილ მსჯავრდებულს საცხოვრებელი ბინა გადასცეს.

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთის პრობაციის ბიუროში გამოცხადდა პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებული მერრაბ გუჩუა. პრობაციონერის განცხადებით, იგი ოცი წლის წინ გაასამართლეს. ნათესავებმა მისი თანხმობით ბინა გაყიდეს, ხოლო თანხა შემნახველ სალაროში შეინახეს. ინფლაციის შედეგად შენახული თანხა გაუფასურდა და თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გამოსული გუჩუა უსახსროდ და უბინაოდ დარჩა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პრობაციის ბიუროს ოფიცრებმა, მსჯავრდებულისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფის მოთხოვნით, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიმართეს. ამ შუამდგომლობის საფუძველზე, ზუგდიდის გამგეობამ მერრაბ გუჩია ოროთახიან ბინაში შეასახლა.

სპეციალური კანონი იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის ოფიცრებს მსჯავრდებული პირების კონტროლთან ერთად, შეძლებისდაგვარად, მათი სოციალური დახმარების მოვალეობასაც აკისრებს. პრობაციის სამსახური, პრობაციონერთა დასაქმებასა და რესოციალიზაციის პროცესში დახმარების გაწევას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსთან თანამშრომლობის გზით ახერხებს.

დღეისათვის საქართველოში აღრიცხვაზე 8000-მდე პრობაციონერი პირი იმყოფება. **ინტერპრესნიუსი**

ახალწვეულებმა ფიცი დადეს

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა პირველი სამმართველოს ბაზაზე სპეციალური ოპერატიული ცენტრის 300-მდე ახალწვეულმა ფიცი დადო.

ფიცის მიღების საზეიმო ცერემონიას შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი დაესწრო.

განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს უფროსის თეიმურაზ კუხიანიძის განცხადებით, აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ახალწვეულებმა საჩვენებელი ორთაბრძოლები გამართეს და განსაკუთრებულ დავალებათა პირველ სამმართველოში ორი კვირის მომზადების დროს შეძენილი უნარ-ჩვევები გამოავლინეს. ახალწვეულები ამ ბაზაზე წელიწადნახევრის განმავლობაში იმსახურებენ.

გუშინვე შინაგან საქმეთა მინისტრმა მადლობის სიგელები გადასცა დემობილიზაციას ქვემდებარე 200 ჯარისკაცს.

მერაბიშვილმა ახალწვეულებს ფიცის მიღება მიულოცა. მინისტრმა, ასევე, მადლობა გადაუხადა იმ ჯარისკაცებს, რომლებმაც დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულეს და განსაკუთრებულ დავალებათა პირველი სამმართველოს ბაზაზე თავიანთი ბრძოლისუნარიანობა გაიღრმავეს. **ინტერპრესნიუსი**

ნარკოტიკებით მოვაჭრე პოლიციელებს, თითქმის, ყოველდღე აკავებენ

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით, მარნეულის პოლიციის განყოფილების თანამშრომელი ნოვრეზ ნავროზოვი დააკავეს.

დაკავებულ ნავროზოვს ბრალი ჰეროინის გასაღებაში ედება. მას ჩხრეკის დროს სარეალიზაციოდ გამზადებული ჰეროინი აღმოაჩნდა. მის მიერ ჰეროინის საკონტროლო შესყიდვა სამართალდამცველებმა ფარული კამერით დააფიქსირეს.

მარნეულის პოლიციის თანამშრომელთა ინფორმაციით, ნარკოტიკებთან დაკავშირებით ნოვრეზ ნავროზოვი უკანონო ქმედებებში ადრეც იყო შემჩნეული. **ინტერპრესნიუსი**

ალიევი ნარკოტიკების რეალიზაციისთვის დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შენახვის ბრალდებით აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქე ნეჯაფ ალიევი დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, ნეჯაფ ალიევის დაკავება მარნეულის რაიონის სოფელ ჯანდარაში ჩატარებული ოპერაციის შედეგად განხორციელდა. მას ჩხრეკისას დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება - 10 გრამი "ჰეროინი" აღმოაჩნდა.

კანონით, ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციის ბრალდება 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს. **ინტერპრესნიუსი**

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს თბილისში, უცხოური წარმოების მობილური ყინულის მოედნის (დასაშვებია მეორადი მინიმუმ ექპულატაციის 5 წლის გარანტიით) სახელმწიფო შესყიდვაზე და აწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ა) ღია ტიპის მობილური ყინულის მოედანი არანაკლებ 600 კვადრატულ მეტრზე (გასათვალისწინებელია ადგილობრივი კლიმატური პირობები) - მსუბუქი და სწრაფი მონტაჟისათვის, გამოსაყენებელი ფართო მასებისათვის, მოაჯირით და ორი კარით;

ბ) 150 წყვილი საციგურაო ფეხსაცმელი;

გ) საციგურაო ფეხსაცმლის სალესი მანქანა.

დ) მოედნის საწმენდი დანადგარი.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 27 დეკემბერი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 28 ნოემბრის 12 საათიდან 29 ნოემბრის 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ორგანოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

ფიზიკური პირისათვის:

ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 30 ნოემბრის 12 საათიდან 1 დეკემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიორგი დათუნაშვილი -საკონტაქტო ტელეფონი: 99-60-35 მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

გუშინ ერთმა მკითხველმა მითხრა, რომ ბოლო დროს ჩემმა ტექსტებმა ერთგვარი ბუნდოვანება შეიძინა და მათში რაღაც დაფარული მინიშნებების აღმოჩენა სულ უფრო ძნელი გახდა. არ ვიცი, სახელდობრ რომელ სტატიას გულისხმობდა ეს დაკვირვებული მკითხველი, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ მისი თვალსაზრისი სრულიად უმნიშვნელოა ჩემთვის. და რადგან არ ვიცი, რაში გამოიხატება ჩემი გაბუნდოვანება, იმის ახსნას მაინც შევეცდები, თანამედროვე საქართველოში რატომ შეიძლება გაუბუნდოვანდეს აზროვნება მას, ვინც დღემდე დარწმუნებულია, რომ ადამიანურ სინამდვილეს რაიმე პრინციპებისადმი ერთგულება უნდა მართავდეს...

დავიწყოთ ყველაზე მარტივი შეკითხვით. რატომ ვწერ რთულად? — ეს ბევრ გონიერ ადამიანს უთქვამს ჩემთვის. ყველაზე მარტივი პასუხი შემდეგია: ასე წერის საშუალებას ქართული ენა იძლევა და რატომ უნდა იყოს ცარიელი მის მადლიან წიაღში არსებული ეს კუნჭული? თანაც ამგვარად შთამომავლობას ვატყუებ, იმ ბანალური მამის მსგავსად, რომელიც შვილის გასაგონად ყოველთვის ხუთიანებზე სწავლობდა და წესიერად იქცეოდა. გაზეთი, მართალია, წარმავალი დღის ამსახველი ფარატინა ქაღალდია, მაგრამ ერთი თვისებაც აქვს: მას ბიბლიოთეკებში ინახავენ. ჰოდა, რა შეიძლება იფიქროს ჩვენს დღევანდელობაზე განსწავლულმა შთამომავალმა, რომელიც მოწიწებით გადაფურცლავს "24 საათის" 2005 წლის 10 ნოემბრის დრო-ჟამისაგან გაყვითლებულ ნომერს და სიხარულით დაიკვირდება მასალას სათაურით *საპარლამენტო ქრონიკა*. ეს განსწავლული მკითხველიც ქართველი იქნება და, ესე იგი, წინაპართაგან საგმირო საქმეთა თუ არა, მამულისათვის ზრუნვისა და შრომის მომლოდინე. ხელში კი რა შერჩება? — "**პარლამენტის აპარატმა ახლახან შექმნილ ფრაქცია "დემოკრატიულ ფრონტს" სხდომათა დარბაზის შესასვლელთან სამი რიგი გამოუყო, მაგრამ უმრავლესობის წევრები, დავით კირკიტაძე და კობა დვალიშვილი პოლიტიკური ოპონენტებისთვის სავარძლების დათმობას არ აპირებენ.**"

— აჰ, — იფიქრებს განსწავლული შთამომავალი, — ახლა ეს თავხედები საკადრის პასუხს მიიღებენ!

მაგრამ რამდენიმე პწკარი და დიდი იმედგაცრუება ელის: "**უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის სიჯიუტემ მისი ის თანაფრაქციელებიც გაათამამა, ვისაც ადგილი უკვე გამოცვლილი ჰოქნდა — ვან ბაიბურთმა, ლაშა მინდელმა, ზურაბ ჯგუბურიამ და სხვა დეპუტატებმა კვლავ ძველი სავარძლებისკენ გაიწიეს.**"

ჰოდა, ასეთ პირობებში ნურავინ მისაყვედურებს, რომ რთულად ვწერ: ვინმემ მაინც ხომ უნდა იფიქროს, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის საქართველოში რთული ტექსტების წამკითხავებიც არსებობდნენ! თორემ იმავე მასალაში ვკითხულობთ — "**დემოკრატიულ ფრონტს სულაც არა აქვს იმის პრეტენზია, რომ მაინცდამაინც ის ადგილები დაიკავოს, სადაც დავით კირკიტაძე და მისი გარემოცვა ზის**" — და ხომ შეიძლება მომავალში ვინმე დაიბნეს და ვერ გაარკვიოს, ეს იდუმალი დავით კირკიტაძე, რომლის სახელი სახალხო მეხსიერებაში უკვე კარგა ხნის გამქრალია, წმინდა სისხლის უფლისწული იყო, თუ ავაზაკთა ხროვის მეთაური, რადგან ტერმინი "გარემოცვა", ჩვეულებრივ, ამ ორი სოციალური სტატუსის მიმართ გამოიყენება.

ახლა კი ეს მითხარით: ნუთუ ღირს ასეთი სინამდვილის სერიოზულად მიღება, ან იმის ფიქრი, თითქოს მასში მყოფ ჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებიც ოდნავი იმედით გადაშლიან 50 თეთრად ნაყიდ გაზეთს, რამენაირად მაინც ანუგეშებთ მთელ გვერდზე გაშლილი მსჯელობა, გინდ მარტივი, გინდაც რთული? მათ ხომ ერთადერთი რამ დააკმაყოფილებთ — გარკვეული მიმართულებით ნატყორცნი სამსიტყვიანი წინადადება, რომელსაც ჩვენი ღვთივდაცული ერი, არ ვიცი, საკუთარი პოეტური ნიჭისა გამო თუ რუსულიდან ნასესხები ეპითეტის წყალობით სამსართულიანს უწოდებს...

სხვათა შორის, ეს დალოცვილი სამსართულიანიც იშვიათობად იქცა ჩვენს პირობებში — სულ უფრო რაღაც უაზრო და, **მერაბ მამარდაშვილისა** არ იყოს, *უგანაჩენო* უზრდელობამ დაიმკვიდრა ადგილი: ყველას გახსოვთ თავდაცვის მინისტრის კორექტულობა პარლამენტში სამთავრობო საათზე (ნეტა არავინ ჩაუფიქრდა, რატომ იქცა საყოველთაო გაკვირვების საგნად ეს კორექტულობა?), მაგრამ რამდენიმე დღის წინ "რუსთავი 2"-ის ეთერში ასევე ყველამ ვნახეთ, იმავე მინისტრმა ჟურნალისტს ისე უპასუხა კითხვაზე, ქუჩის "აბიჟნიკები" რომ აღარ კადრულობენ. მაშ, როგორ გავარკვიოთ, ამ ორიდან რომელი სახეა ჭეშმარიტი?

როგორც ეტყობა, ორი მოცემულობიდან ჭეშმარიტის ამორჩევა მართლაც პრობლემაა საქართველოში: აი, ვერ გაურკვევიათ, წინანდლის კომპლექსი (ჯერ-ჯერობით ასე ვუწოდოთ) ისტორიული ძეგლია თუ სახლ-მუზეუმი. ამაზე მსჯელობენ "რადიო-უცნობის" ეთერსა და "24 საათის" ფურცლებზე აქეთ **ნინია კაკაბაძე**, იქით კიდევ — **ეკა კვესიტაძე**. კაცმა რომ თქვას, განა სახლ-მუზეუმი არ შეიძლება იყოს ისტორიული ძეგლი? ვთქვათ, წინანდლის კომპლექსი ერთიცაა და მეორეც — იცვლება ამით რამე? პროცედურა იგივე რჩება: შესაბამისად უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება (წყალი რომ არ გაუვიდეს ისე!), სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს მის შესრულებაზე კონტროლი, ქონება კი იჯარით გადაეცეს ვინმეს, ვინც თავის ღირსეულობას დაგვიმტკიცებს. არა ვართ კმაყოფილი? ტრადიცია არ არსებობს ჩვენში? — მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც უნდა დავიწყოთ, უნდა ვიხსნათ ჩვენი მოქალაქეები იმისაგან, რომ საკუთარი ჯიბიდან ინახავდნენ ჩვენს აუწონელ ისტორიულ მემკვიდრეობას! არ ვეკითხებით იმ ხალხს? — იქნებ ვინმეს გრიბოედოვის ნაჩუქარ პიანინოზე მეტად ის აღელვებდეს, რომ მის ქვეყანაში ცოცხალი ადამიანები შიმშილობენ, პრეზიდენტი კი, ეტყობა, მსხვილი და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა სინდისზე შეგდების გარდა, ამის გამოსასწორებელ სხვა გზებს ვერ პოულობს.

როგორ უნდა დაიჯეროს ჩვენმა შთამომავალმა, რომ ქვეყანაში, სადაც ასობით უძველესი და უძვირფასესი ტაძრის სარესტავრაციოდ საკმარისი სახსრები ერთ რკინა-ბეტონის ურჩხულს დაახარჯეს, მართლა ასე უფრთხილდებიან წარსულის მემკვიდრეობას?

აგერ, პოლიტიკური ოპოზიციაც გაიძახის, არიქა, ჩვენს ისტორიულ საუნჯეს ასხვისებენო! გასაგებია, ოპოზიციას ზარალისა ეშინია. რომელი ზარალის? აი, იმ ზარალის, რომელიც შეიძლება მიადგეს წინანდლის ისტორიულ ძეგლს თუ სახლ-მუზეუმს და სულ შეხრას და გააჩანაგოს. ერთი სიტყვით, ხელისუფლების პოლიტიკურ ოპოზიციას სჯერა, რომ ქართველი ხალხი შეიძლება მოისყიდო სუბუტექსის კარდაკარ დარიგებით, მაგრამ არ სჯერა, რომ ქართველ ხალხში მოიპოვება კეთილსინდისიერების რესურსი, საკმარისი იმისათვის, რომ "იცხოვრე-მაცხოვრეს" პრინციპი მამა-პაპათა ნაკვალევის შესანარჩუნებლად გამოიყენოს.

ამბობენ, სახელმწიფომ მოუაროსო, თითქოს სახელმწიფო ჩვენ არ ვიყოთ და სწორედ ჩვენს ზურგსა და ჯიბეს არ აწვებოდეს ეს ურიცხვი ისტორიული საუნჯე. ჰოდა, ასე ხდება, რომ კოსმოპოლიტები ნაციონალისტების გადმოსვენებას აფინანსებენ, მუსლიმები, იუდეველები და ათეისტები — სკოლებში ქრისტეს სჯულის სწავლებას, როკერები — ოპერაში "აიდას" დადგმას, კლასიკური მუსიკის მოყვარულები — მერიის წინ რუსლანას ტინგიცობას, ანარქისტები — მეფის ქანდაკების ჩამოსხმას, მართლმადიდებელი მშობლები — წმინდა გიორგის კერპის აღმართვას. ოღონდ არ მითხრათ, რომ კოსმოპოლიტები, მუსლიმები, იუდეველები, ათეისტები, როკერები, კლასიკური მუსიკის ფანები, ანარქისტები და მართლმადიდებელი მშობლები უმცირესობაში არიან. ბოლოს და ბოლოს, რამდენი უმცირესობა უნდა შევაჯამოთ უმრავლესობის მისაღებად?

მაგრამ ჩვენში არ ფიქრობენ, რომ ყოველი საზოგადოება მრავალი სხვადასხვა უმცირესობის რთული კომბინაციაა, სახელმწიფომ კი თავის თავზე მხოლოდ ყველა ამ უმცირესობის საერთო ინტერესის უზრუნველყოფა უნდა აიღოს, სხვა დანარჩენს კი შესაფერი პატრონი მოუძებნოს, კანონებით შეზღუდოს და თვალი ადევნოს. რას იზამ, რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს **გიგა ბოკერიამ** პიროვნების ავტონომიაზე, მაინც ისე გამოდის, რომ საქართველოში თითქმის ყველას, ვისაც კი საჯაროდ ხმა ამოეღება, რომელ მხარესაც არ უნდა იდგეს, გულის სიღრმეში ხალხი ერთიან უსახურ ბრბოდ მიაჩნია, მერე კი უკვირს, როცა მოვლენები მის სასარგებლოდ არ ვითარდება.

ამიტომაც შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მინისტრი ჟურნალისტთან კინკლაობისას უფრო ჰგავს საკუთარ თავს, ვიდრე ტრიბუნაზე დგომისას; რომ მავანნი მართლაც ვერ არჩევენ ერთმანეთისგან პარლამენტის დარბაზსა და ციხის საერთო საკანს, სადაც ადგილმდებარეობა პირდაპირ მიუთითებს "პალაჟენიაზე"; რომ სხვებს კიდევ წინანდლის კომპლექსს მიყენებული ზარალი კი არ აღელვებთ, არამედ ის, რომ თვითონ არ ირჩევენ მოიჯარადრეს; რომ ვინც ამბობს ინტელექტუალები არიან დამპლები, თორემ უბრალო ხალხი ჯანსაღად აზროვნებსო, სინამდვილეში იმის იმედი აქვს, რომ მის ყურს არასოდეს შეაწუხებს იმ უბრალო ხალხის ჯანსაღი აზრი...

სხვათა შორის, გუშინ ერთი პეტერბურგელი ნაცნობიც ვნახე — აქ ჩამოსულიყო და **ზურაბ წერეთლის** თბილისურ რეიდზე მეკითხებოდა: კი მაგრამ, თქვენთან მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად საზოგადოებრივ მოსმენებს რატომ არ მართავენო. მხრები ავიჩეჩე, თქვენ კი გიპასუხებთ: იმიტომ, რომ საერო ხელისუფლებას (და ამ შემთხვევაში ოპოზიციაც ხელისუფლებაა — აბა, მე და თქვენ ხომ არ ვსხედვართ პარლამენტში!) ქართველი ერი ერთ დიდ ჯოგად მიაჩნია, ჯოგად, რომელსაც ეროვნულ ერთიანობას უქადაგებენ, ჭკუას კი არასოდეს ეკითხებიან.

"არ არსებობს დედამიწაზე სამართალი", — წუხს პუშკინისეული სალიერი და იქვე დასძენს, — "მაგრამ ის უფრო მაღლაც არ არსებობს". ჩვენ კი იქნებ ვიპოვოთ რამე სანუგეშო უფრო მაღლა...

გახსოვთ, ზაფხულში ვწერდი, რომ სტამბულში მხოლოდ საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ არ დაუჭირა მხარი იერუსალიმის საპატრიარქოტახტიდან სისხლის სამართლის დამნაშავის გადაყენებას. მერეც ამბობდნენ და წერდნენ კიდეც ოფიციალურ პრესაში, რომ საქართველოს ეკლესია ღირსეულად მოიქცაო. არ ვეთანხმები, მაგრამ მესმის — ასეთი პოზიცია დაიკავა იერარქიამ და რას გავაწყობთ. დღემდე იმავე აზრზე დგანან და დღესაც არ მოიხსენიებენ ლოცვისას იერუსალიმის სამიოდე თვის წინათ არჩეულ პატრიარქს.

ცხოვრება კი თავისი გზით მიდის: 22 ნოემბერს იერუსალიმში ახალი პატრიარქის საზეიმო ინტრონიზაცია უნდა მოხდეს. რაოდენი იყო ჩემი გაკვირვება, როცა გავიგე, რომ საზეიმო ღონისძიებებში საქართველოს ეკლესიის დელეგაციაც იღებს მონაწილეობას — დიახ, ორი ეპისკოპოსი (**გერასიმე** და **შიო**) და დეკანოზი **დავით შარაშენიძე**!

ამათგან ეპისკოპოსი გერასიმე იმ დელეგაციის წევრი იყო, რომელმაც ძველ პატრიარქს მხარი დაუჭირა. იქნებ უპასუხოს მეუფემ ქართველ მორწმუნეებს: ნუთუ მასაც უტყვ ჯოგად მიაჩნია ქრისტიანი მრევლი — ერი სამეფო და სამღვდელო, პავლე მოციქულის თქმით? ან იქნებ ბრჭყვიალა ომოფორებში გამოჩენაზე უფრო დიდი ინტერესი არა აქვს ქართველ სამღვდელოებას, რომელიც იერუსალიმის ეკლესიის მიერ არჩეულ პატრიარქ **თეოფილეს** კანონიერად არ სცნობს, მის გაშლილ სუფრაზე კი ფაციფუცით მიეჩქარება.

აი, ასეა საქმე, ჩემო ძვირფასო მკითხველო. შენ ბუნდოვანებას მიკიჟინებ, მე კი თავიდან არ ამომდის **მაქსიმ გორკის** ერთი პიესა, "ეგორ ბულიჩოვი და სხვები". ლამის ამ პიესის გმირივით მეც ვურჩიო საკუთარ თავს თუთუნის წევა, რადგან კვამლში უფრო ადვილია ცხოვრება — ყველაფერი არა ჩანს.

ახალი, ყველაზე მაღალი საპროცენტო განაჯვეთები
პროკრედიტ ბანკში 30 ნოემბრამდე!

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

გახსენით ვადიანი ანაბარი პროკრედიტ ბანკში და მიიღეთ ვიზა ჩიპ ჯერსიჯი საჩუქრად!

შემნახველი ანაბარი, ყველაზე ხელმისაწვდომი ანაბარი პროკრედიტ ბანკისგან!

- მიიღეთ ყველაზე მაღალი სარგებელი, ახლა უკვე 6% ნლიური აშშ დოლარში და 8% ლარში გახსნილ ანაბრებზე
- გაიტანეთ და შემოიტანეთ თანხა ნებისმიერ დროს
- დაიწყეთ შეგროვება 5 ლარიდან

ჯამპანია
30.11.05
ძალაშია

ვადიანი ანაბარი, ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი!

- მიიღეთ 10% ნლიური დოლარში და 13,5% ლარში გახსნილ ანაბრებზე
- ვიზა ჩიპ ჯერსიჯი საჩუქრად ანაბრებზე 500 დოლარიდან!

პროკრედიტ ბანკი, ბანკი რომელსაც ენდობიან
მსოფლიოს სამ კონტინენტზე

მოკლედ

მობილურ კავშირს რუსული და აფხაზური კომპანიები არალეგალურად ახორციელებენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მობილურ კავშირს რუსული და აფხაზური კომპანიები არალეგალურად ახორციელებენ.

როგორც "ინტერპრესნიუსს" სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებულმა წყარომ აცნობა, უკანასკნელი 2 წელია, გაგრის ზონაში აქტიურად მოქმედებს რუსული მობილური კავშირგაბმულობის კომპანია "კუბან ჯი-ეს-ემი", რომლის მომსახურებითაც, ძირითადად, გაგრისა და ბიჭვინთის მოსახლეობა სარგებლობს.

იმავე წყაროს მტკიცებით, "კუბან ჯი-ეს-ემს" აფხაზეთის ტერიტორიაზე სპეციალური აპარატურა არ აქვს დაყენებული, მაგრამ ადლერში დამონტაჟებული აპარატურის ხარჯზე გაგრის ზონა საკმაოდ კარგად იფარება.

"კუბან ჯი-ეს-ემის" გარდა, აფხაზეთის ტერიტორიაზე ასევე მოქმედებს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნის რობერტ ეილიანის, პროგრამისტ რაფიკ ეილიანის და ვლადისლავ არძინბას ქალიშვილის, მადინა არძინბას მიერ 2002 წელს დაფუძნებული ერთობლივი კომპანია "აკვაფონი", რომელიც რადიოკავშირის პრინციპის საფუძველზე ფუნქციონირებს, რაც უხარისხო და საკმაოდ ძვირადღირებულია.

დაზუსტებული ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ "აკვაფონი" 50 ათას მომხმარებელზეა გათვლილი, მისი მომსახურებით მხოლოდ 8 ათასი მოქალაქე, ძირითადად, მთავრობის წარმომადგენლები, უშიშროებისა და მილიციის თანამშრომლები სარგებლობენ. "აკვაფონის" 21 პროცენტს დღესაც მადინა არძინბა ფლობს. მისი გენერალური დირექტორი კი მადინა არძინბას მეუღლე ალხაზ არგუნია.

"აკვაფონი" ოფშორულ ზონაშია რეგისტრირებული და მას საქართველოს ტერიტორიაზე მობილური კავშირის განხორციელების უფლება არ აქვს.

"კუბან ჯი-ეს-ემისა" და "აკვაფონის" გარდა, აფხაზეთის ტერიტორიას, კერძოდ, გალის რაიონს ქართული კომპანია "მაგთიკომიც" ფარავს, რის გამოც, გალში დაბრუნებული მოსახლეობა და გალის აფხაზური ადმინისტრაცია "მაგთის" მომსახურებით სარგებლობს.

ინტერპრესნიუსი

გოცირიძე რუსული ბანკების აფხაზეთში უკანონო საქმიანობის საკითხს მოსკოვში კიდევ ერთხელ დააყენებს

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე მოსკოვში შუა აზიის, ბალკანეთისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველთა კლუბის მეთოთხმეტე შეხვედრას ესწრება. მმართველთა კლუბის დისკუსიას რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარე სერგეი იგნატიევი გახსნის. შეხვედრაზე მოხსენებებს ევროპის ცენტრალური ბანკის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, პროფესორი ოტმარ ისინგი და ინგლისის ბანკის ყოფილი მმართველი, ლორდი ედვარდ ჯორჯი წაიკითხავენ. კლუბის წევრი სახელმწიფოების ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ხელმძღვანელები ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობასა და საბანკო სისტემების განვითარების შესახებ იმსჯელებენ.

ვიზიტის ფარგლებში გოცირიძე რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარესაც შეხვდება და რუსული კომერციული ბანკების აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ საფინანსო სტრუქტურებთან უკანონო თანამშრომლობის გამო უარყოფით პოზიციას კიდევ ერთხელ დააფიქსირებს.

შუა აზიის, ბალკანეთისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველთა კლუბის შეხვედრა რუსეთში წელს უკვე მეორედ იმართება. მმართველთა კლუბის მეცამეტე შეხვედრას 27-28 მაისს სანკტ-პეტერბურგი მასპინძლობდა.

აღსანიშნავია, რომ კლუბში საქართველო, ალბანეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ყაზახეთი, მაკედონია, მოლდოვა, რუსეთი, რუმინეთი, სერბეთი, სომხეთი, საბერძნეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქეთი და უკრაინაა გაწევრიანებული. **ჯი-ეჩ-ენი**

რაგბი

მოვიგეთ!

საქართველო - ჩილე 29:6

"ბორჯღალოსნებმა" სტუმრები ოთხჯერ დაალელოვეს.

"ბორჯღალოსნებმა" საკონტინენტთაშორისო თასის ეგიდით პირველი მატჩი გამართეს ჩილეს ნაკრებთან და მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს - 29:6. ქართველმა მორაგბეებმა ოთხი უპასუხო ლელო გაუტანეს სამხრეთამერიკელებს. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა შერკინების ხაზმა, რომელმაც მეტოქე გადათელა (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით).

კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ შერკინება მთავარი დამრტყმელი ძალაა ქართველთა გუნდში, მაგრამ ხაზი აშკარად დახვეწას საჭიროებს. პრინციპში, შეტევაში ბევრი არაფერი შეცვლილა. ჩვენი გუნდი შერკინების სიმძლავრით გადის ფონს, მაგრამ, როგორც კი მას ასევე ძლიერი შერკინება დაუხვდება წინ, მაშინ "ბორჯღალოსნები" აგებენ. ასე იყო კლოდ სორელის პერიოდშიც და ასეა ახლაც. საქართველოს ნაკრებმა დაცვა უკეთ იცოდა, ვიდრე შეტევა.

ასეა თუ ისე, ჩილეს შერკინება ჩვენსას მედგრად ვერ დაუდგა და ოთხი ლელოც მიიღო. თავი გამოიჩინეს დადუნაშვილმა, ნემსაძემ, უდესიანმა და მაჩხანელმა. ჯარიმა და გარდასახვები ბობა კვინიხიძემ შეასრულა. შეგახსენებთ, რომ ერთა თასის გათამაშებაში ჩვენი მორაგბეები თებერვლიდან ჩაერთვებიან.

კალათბურთი

ფაჩულიას რეკორდები

ატლანტა(იდ)ა იძირება!

მამუკა ხოშტარია

ზაზა ფაჩულიას "მილუოკიდან" "ატლანტაში" გადაბარგება უკვე დღეს, ექვსი თამაშის შემდეგ, შეიძლება წარმატებულ ტრანსფერად ჩაითვალოს. საქართველოს ნაკრების კაპიტანი ნელ-ნელა გუნდის ლიდერად ყალიბდება, მას "ატლანტაში" ენდობიან და ზაზაც ამ ნდობას სრულად ამართლებს.

სეზონის წინ გუნდის ხელმძღვანელებმა ვეტერანი ცენტრი, სერბი პრედრაგ დრობნიაკი გაუშვეს და ამ პოზიციაზე მთელი იმედი ფაჩულიაზე დაამყარეს. ის, რომ "ატლანტა" ვერ იგებს, ამაში ყველაზე ნაკლებად ზაზაა დამნაშავე. ფაჩულია "ჰოუქსის" უღიმღამო ყოფაში იშვიათი ნათელი წერტილია. უბრალოდ, ობიექტურად, "ატლანტა" შემადგენლობით ლიგაში ერთ-ერთი უსუსტესი გუნდია, თუმცა ჩვენებურს ეს არ უშლის ხელს თავისი შესაძლებლობების გამომჟღავნებაში. პირიქით, მას უფრო ენდობიან, რადგან სრულფასოვანი შემცვლელი არ ჰყავს და შეცდომებსაც პატიობენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ახალგაზრდა მოთამაშისთვის.

10 ნოემბერს "ატლანტამ" "ლოს-ანჯელეს კლიპერსს" უმასპინძლა და კვლავ დამარცხდა. "ქორებმა" ყველა მეოთხედი დათმეს, თუმცა, მცირე ანგარიშით და დაძაბულობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს. სამწუხაროდ, დღევანდელი "ატლანტასთვის" ესეც მიღწევაა.

ზაზამ ამ თამაშში სამი პირადი რეკორდი დაამყარა: 37.38 წუთი ითამაშა, 16 ქულა გააკეთა და 10 ბურთი მოხსნა საკუთარ ფარზე (სამიც მოწინააღმდეგისაზე). ამასთან, გაიმეორა პირადი რეკორდი 6 პასით და საერთო ჯამში მოხსნებით - 13. ფაჩულიას მარცლა კარგი თამაშის მიუხედავად, "ატლანტამ" მატჩი 95:102 დათმო. 13 ნოემბერს "ქორები" უკვე "მემფისთან" დამარცხდნენ: 84:85. "ატლანტა" მთელი თამაში აგებდა და მხოლოდ მეოთხე პერიოდის 7-ქულიანი სხვაობით მოგება საკმარისი არ გამოდგა. ფაჩულიამ ამ შეხვედრაშიც ორმაგი დუბლი შეასრულა. 34.37 წუთში ზაზას მონაგარია: 10 ქულა, 12 მოხსნა, 1 პასი და 2 დაფარება.

ნიკა ცქიტიშვილის "მინესოტამ" "ლეიკერსთან" 88:74 იმარჯვა. სამწუხაროდ, ნიკას ისევ არ უთამაშია. მას დიდი ძალისხმევა მოუწევს "მინესოტას" შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად. მძიმე ფორვარდად (ცქიტიშვილის პოზიციაზე) ამ გუნდში ლიგის ერთ-ერთი სუპერვარსკვლავი კევინ გარნეტი თამაშობს. ამ სეზონში ეს უკანასკნელი მოედანზე საშუალოდ 41 წუთს ატარებს და, საეჭვოა, ეს მაჩვენებელი სეზონის ბოლომდე შემცირდეს. შესაბამისად, რჩება სათამაშო დროის 7 წუთი. ამ 7 წუთზე, ნიკას გარდა, კიდევ ორი ძალიან გამოცდილი და კვალიფიციური ფორვარდი აცხადებს პრეტენზიას. ესენი არიან ედი გრიფინი და მარკ მედსენი. ედის და მარკის სტილის მოთამაშეები ყველა გუნდში ძალიან საჭიროა. მათ არა აქვთ ამბიცია გუნდის ლიდერობაზე, სამაგიეროდ ორივე გამოირჩევა დიდი შრომისუნარიანობით, სტაბილური თამაშით და არასდროს არიდებენ თავს შავ სამუშაოს. ნიკას სათამაშო კლასი უდავოდ უფრო მაღალია, ვიდრე მათი და ნიჭითაც მას ვერც გრიფინი და ვერც მედსენი ვერ გაუტოლდება. თუმცა, ბრძოლისუნარიანობა ედის და მარკის კოზირია. "მინესოტაში", ნიკას გარდა, კიდევ მრავლად არიან იმპროვიზაციის ნიჭით დაჯილდოებული კალათბურთელები. ამ ყველაფრის გამო მწვრთნელისთვის მედსენისა და გრიფინის განაცხადში ყოფნა, სამწუხაროდ, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენებურის. იმედი გვაქვს, სიტუაცია სულ მალე რადიკალურად შეიცვლება და ნიკას შესაძლებლობა მიეცემა სრულად გამოავლინოს თავისი პოტენციალი.

გაგაცნობთ მატჩების შედეგებს:

13 ნოემბერი:
"სან ანტონიო" 95:110 "ვაშინგტონი"
"შარლოტი" 99:108 "მაიამი"
"ჰიუსტონი" 99:91 "ნიუ ჯერსი"
"დალასი" 109:103 "ნიუ ორლეანი/ოკლაჰომა სიტი"
"იუტა" 98:103 "ჩიკაგო"
"ინდიანა" 102:103 "მილუოკი"
"გოლდენ სტეიტი" 86:101 "ფენიქსი"

ჭადრაკი

სენსაცია არ შედგა

ისრაელში დასრულდა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში. სპეციალისტთა შეფასებით, ჩინეთის ვაჟთა გუნდმა ფენომენალური თამაში აჩვენა, თუმცა საბოლოოდ სენსაცია მაინც არ შედგა. ჩინელები ტურნირის ფავორიტ რუსეთს დასკვნითი ტურის წინ სამი ქულით უსწრებდნენ, მაგრამ ბოლო ტურში რუსებთან შეხვედრაში გაფლანგეს უპირატესობა - 0,5:3,5 დამარცხდნენ და მსოფლიო პირველობა მეორე ადგილზე დასრულეს.

საინტერესოა, რომ ტურნირზე ვაჟებთან ერთად ჩინეთის ქალთა გუნდიც გამოდიოდა. ეს ტურნირის ორგანიზატორებმა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც შეჯიბრებაში თამაშზე უარი განაცხადა ევროპის ჩემპიონმა ჰოლანდიის გუნდმა. ამის შემდეგ ჰოლანდიელთა ნაცვლად ტურნირზე ოლიმპიური ჩემპიონი ჩინეთის ქალთა გუნდი მიიწვიეს. მართალია, ჩინელმა ვაჟებმა სწორედ თანამემამულე ქალებთან პაექრობაში აიღეს მაქსიმალური - 4 ქულა, მაგრამ, სპეციალისტთა აზრით, მათ მაინც უაღრესად სტაბილური და შთამბეჭდავი თამაში აჩვენეს.

ჩინელებმა მხოლოდ პირველ დაფაზე მოახერხეს ნახევარი ქულის აღება - პეტრ სვიდლერი ბუ ხიანგზის დაუზავდა. დანარჩენ შეხვედრებში კი სლავების უპირატესობა აშკარა იყო. ალექსანდრ გრიშჩუკმა, ალექსანდრ მოროზევიჩმა და ევგენი ბარეევმა თავიანთი პარტიები მოიგეს და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლებს დაეპატრონენ.

მესამე ადგილზე სომხეთის ნაკრები გავიდა, რომელიც დასკვნით ტურში კუბას დაუზავდა - 2:2. მეოთხე ადგილზე 17,5 ქულით უკრაინის ნაკრები გავიდა. უკრაინელებმა - 2,5:1,5 დაამარცხეს ჩვენი ქვეყნის გუნდი.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ჩვენებმა მათთვის დამახასიათებელ სტილში, არასტაბილურად იასპარეზეს და საბოლოოდ მე-7 ადგილზე გავიდნენ. ჩინეთის ქალთა გუნდთან დასანანი ყაიმი რომ არა, საქართველოს ნაკრებს შანსი ჰქონდა უკან ჩამოეტოვებინა ტურნირის მასპინძელი ისრაელი.

საბოლოოდ გუნდები ცხრილში ასე განაწილდნენ: რუსეთი - 22, ჩინეთი (ვაჟები) - 21,5, სომხეთი - 18,5, უკრაინა - 17,5, აშშ - 16,5, ისრაელი - 14,5, საქართველო - 13,5, კუბა - 13, ჩინეთი (ქალები) - 7.

ფეხბურთი

სანამ ერემი გადაბრუნდება

მიხეილ აბაიშვილი

კობიაშვილი კვალიფიკაციას არ უჩივის.

სტოიჩკოვის განაჩენი

იცით, ყველაზე უფრო რამ გაუსვა ხაზი იმ ტრაგიკომიზმს, რომელშიც საქართველოს ეროვნული ნაკრები იმყოფება? გგონიათ, ერთ თამაშში, თან არცთუ ძლიერი მეტოქის, ბულგარეთის მიერ ჩვენს კარში გატანილმა ექვსმა გოლმა? ან ჩვენი ეროვნული გუნდის თამაშში არსებულმა იმ ქაოსმა, რომლის თუნდაც ტრივიალურ კანონზომიერებაზე დაქვემდებარება დღეს ქართველ გულშემატკივარს მიუღწეველ ოცნებად ეჩვენება? პირადად ჩემთვის ყველაზე საშინელი იყო სტოიჩკოვის განაჩენი, რომელიც ამ ლეგენდარულმა ფეხბურთელმა და საშუალოზე დაბალი დონის მწვრთნელმა (შედეგების მიხედვით) თამაშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოგვიტანა: "ნიჭიერი ფეხბურთელები გყავთ, რომლებიც ევროპის წამყვან კლუბებში თამაშობენ, მაგრამ სულსწრაფები ნუ იქნებით. თქვენ გჭირდებათ დაუღალავი შრომა, მოთმინება და დრო იმისთვის, რათა... თქვენმა ნაკრებმა ათი წლის წინანდელ დონეს მიაღწიოს", - გვითხრა დიდმა ხრიხტომ და მის სიტყვებში ირონიის ნატამალიც არ იგრძნობოდა. როგორ გინდა შეედავო სტოიჩკოვს? მართლაც, ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივარიც რომ მოიყვანოთ, გაუჭირდება თქმა – როდის მოუგებს საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ისეთ ნახევარფინალისტს, რომელმაც მეოთხედფინალში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი დაამარცხა. მას შემდეგ, რაც მიხაილოვმა (რომელიც დღეს ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია და გუშინწინ, ჩვენი ნაკრების შემხედვარე, სიცილით კვდებოდა), ბალაკოვმა, კოსტადინოვმა, ლეჩკოვმა, სტოიჩკოვმა და სხვებმა თავჩაღუნულებმა დატოვეს ეროვნული სტადიონის მწვანე მინდორი, ზუსტად ათი წელი გავიდა. ამ დრომ კი, როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს, იცით, რა მოუტანა? ბულგარელებმა, ჩვენს მსგავსად, უკვე მერამდენედ, საკვალიფიკაციო ბარიერი ვერ გადალახეს და ადგილობრივმა პრესამ სტოიჩკოვი პრესში მოაქცია. სტოიჩკოვი კი... ჯერ ფეხბურთელობისას გამოირჩეოდა აზროვნებით და ეშმაკობით და, როგორც ჩანს, ეს თვისებები არც მწვრთნელობისას დაუკარგავს. სპარინგად საქართველოს ნაკრების შერჩევით მან ორი კურდღელი დაიჭირა. ჯერ ერთი, აირჩია მეტოქე, რომელსაც უეჭველად და დამაჯერებლად დაამარცხებდა. ამის გარკვევა ძნელი არ იყო საქართველოს ნაკრების ბოლო თამაშების ხილვისას. სხვათა შორის, სტოიჩკოვს იმდენი ჭკუა არ ეყო, რომ ეს ბოლომდე დაემალა. "საქართველოს ნაკრები ერთი მიზნით ავირჩიე სპარინგად – მინდოდა, ჩემი ბიჭები თამაშის დროს მშვიდად ყოფილიყვნენ, არ ენერვიულათ და საკუთარი ძალების რწმენა დაებრუნებინათ. არც ის იქნებოდა ურიგო, თუ ჩვენს გულშემატკივარს გოლებით გავახარებდით", - აი, ასეთი აბუჩად ამგდები მოტივი იყო ჩადებული ბულგარელთა არჩევანში. საქართველოს ნაკრები კი მართლაც ვერ გამოდგა ისეთი გუნდი, რომელიც ბულგარელებს თუნდაც ოდნავ ანერვიულებდა და სათამაშო იდილიას დაურღვევდა.

რა სჭირს საქართველოს ნაკრებს და არსებობს თუ არა იმის ობიექტური საფუძველი, რომ ბულგარეთთან ასტრონომიული ანგარიშით არ წავაგოთ? დავიწყებ იმით, რომ დღეს ისეთი უამბიციო ქვეყნების ნაკრები გუნდებიც კი, როგორებიცაა ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, ანდორა, კვიპროსი და მისთანები, ბულგარეთზე გაცილებით სერიოზულ მეტოქეებთანაც კი აღარ მარცხდებიან ასე კატასტროფულად. თუ დაცვისა და ნახევარდაცვის ხაზს გადავხედავთ, ნამდვილად არსებობს ის ხერხემალი, რომელზეც უკანა ხაზის აშენება და დაცვითი თამაშის ორგანიზება შეიძლება. კალაძე, ხიზანიშვილი, სალუქვაძე, კანკავა, კობიაშვილი – ამ აზრის დასადასტურებლად, ვფიქრობ, მათი ხსენებაც საკმარისია. ვინმე მეტყვის, ვთქვათ, მალხაზ ასათიანს რატომ ივიწყებო? იგი თბილისში არ ჩამოვიდა (თუ ვერ ჩამოვიდა), რაც მართლაც გასარკვევია, მაგრამ, მოდით, თავი დავანებოთ ასათიანს, რადგან, საქმე გვაქვს სიტუაციასთან, რასაც ერთ მატჩში ექვსი გოლის გაშვება ჰქვია. გაზვიადებული ხომ არ გეჩვენებათ? შეიძლება ვინმემ მითხრას, წინა მატჩში ევროპის ჩემპიონ საბერძნეთთან ხომ მხოლოდ ერთი გოლი გავუშვითო. მაგრამ ვიყოთ რეალისტები: ჯერ ერთი, ვეთამაშეთ გუნდს, რომელსაც ყოველგვარი სატურნირო მოტივაცია დაკარგული ჰქონდა. ამას გარდა, ბერძნებამდე ხომ დანიამ ზუსტად ექვსი გოლი გაგვიტანა? პასუხი მარტივი და ნათელია: საქართველოს ნაკრებში თამაშის ორგანიზაცია ნულს უდრის. მატჩის წინ ფეხბურთელებს ან საერთოდ არ აძლევენ მითითებებს, ან ვერ იგებენ, რა უნდათ მათგან მწვრთნელებს, ან კვალიფიკაცია არ ჰყოფნით, რომ ეს მითითებები თამაშის დროს შეასრულონ. არის მეოთხე ვარიანტიც, რომელზეც ცოტა მოგვიანებით გესაუბრებით. ამ წერილის მიზანი ნამდვილად არ არის ირონიული ქირქილი. რა ირონიაზეა საუბარი, როცა მატჩის შემდეგ დანა პირს არ მიხსნიდა და რაზე მეყარა ჯავრი, არ ვიცოდი. დარწმუნებული ვარ, ქართველი გულშემატკივარი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელები, ფედერაცია იგივე მდგომარეობაში იყვნენ. ამიტომ, გამოვრიცხოთ ვარიანტი, რომ მწვრთნელს მითითებები მიცემული არ ჰქონდა. რაც შეეხება კვალიფიკაციას, ვეჭვობ, კალაძე, ხიზანიშვილი, კობიაშვილი, არველაძე, რომლებიც, სულ მცირე, თავიანთ კლუბებში საკვანძო ფიგურები არიან, კვალიფიკაციის ნაკლებობას უჩიოდნენ. მე არც სხვა ფეხბურთელების კვალიფიკაციაში მეპარება ეჭვი, მაგრამ ეს ოთხი ფეხბურთელი იმიტომ ამოვირჩიე გუშინდელი მატჩიდან, რომ მათთან დაკავშირებით კვალიფიკაციის საკითხი არავისთვის სადავო არ არის. ბულგარეთ-საქართველოს ვიდეოჩანაწერი რომ ნახოთ, დარწმუნდებით, რომ ეს უმაღლესი კვალიფიკაციის ფეხბურთელები არცთუ იშვიათად მათთვის შეუფერებლად ცდებოდნენ. ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მათ კარგად ვერ გაიგეს, თუ რა მოეთხოვებოდათ. და უკვე ნახსენები მეოთხე ვარიანტი: მათ გაიგეს, მაგრამ რაღაც მიზეზით არ უნდოდათ იმის გაკეთება, რაც უთხრეს. ასეთ ვარიანტსაც ეყოლება არაერთი ქომაგი. საქართველოში საკმაოდ არიან გაღიზიანებული გულშემატკივრები, რომლებსაც ფეხბურთელების პატრიოტიზმის არ სჯერათ და მათ ათას ბრალდებას უყენებენ. მე კატეგორიულად არ ვეთანხმები ამას და ავხსნი რატომაც: კახა კალაძეს ნამდვილად ჰქონდა იმის საბაბი, რომ არა მხოლოდ საქართველოს ნაკრებში თამაშზე, არამედ საერთოდ საქართველოს მოქალაქეობაზე ეთქვა უარი და ამის გამო ვერავინ დაძრახავდა. კახა კი არათუ ამას არ აკეთებს, ნაკრების ყველა შეკრებაზე პირველი ჩამოდის, მთელ თავის ცოდნას, ძალას და მონდომებას ახმარს არა მხოლოდ თამაშს, არამედ ვარჯიშებსაც, რითაც უდიდეს სამსახურს უწევს საქართველოს ნაკრებში გამოძახებულ ახალგაზრდა, გამოუცდელ ფეხბურთელებს. კიდევ ერთი არგუმენტი: ცნობილი იყო, რომ შოთა არველაძე ბულგარეთთან მატჩის დამთავრებისთანავე ჰოლანდიაში უნდა გამგზავრებულიყო და თავის კლუბს შეერთებოდა. წავიდოდა არველაძე თავის "აზ 67"-ში, გოლების გატანას გააგრძელებდა და საქართველოს ნაკრებზე სულაც აღარ ინერვიულებდა. მაგრამ ამ მარცხმა არველაძის თავმოყვარეობაზე იმდენად იმოქმედა, რომ იგი ჰოლანდიაში აღარ გაემგზავრა და რეაბილიტაციის მიზნით თბილისში გამოგვყვა – ის იორდანიის წინააღმდეგ ითამაშებს, და, დარწმუნებული ვარ, თავს ისევ არ დაზოგავს.

რა გამოდის? მწვრთნელი და ფეხბურთელები ერთმანეთს ვერ უგებენ? მე მგონი, ეს ერთადერთი ლოგიკური დასკვნაა. მოდით, ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის სიტყვებიც გავიხსენოთ: "საყოველთაოდ ცნობილი აქსიომაა: თამაშს იგებენ ფეხბურთელები, ხოლო აგებს მწვრთნელი". ამ სიტყვებს გაიოზ დარსაძეც დაეთანხმა.

რა გამოსავალი არსებობს? ალბათ, ორი: 1. უარს ვამბობთ ნაკრების არსებულ კონტინგენტზე, რომელიც მთავარ მწვრთნელს ვერ უგებს და აქცენტს ვაკეთებთ სრულიად ახალ ფეხბურთელებზე; და მეორე: უარს ვამბობთ მთავარ მწვრთნელზე და ვეძებთ სპეციალისტს, რომელიც ამ ფეხბურთელებს გაუგებს და ათამაშებს. პირადად მე ვფიქრობ, რომ ამ ორ გამოსავალში მეორე უალტერნატივოა. დღეს ნამდვილად არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ უარი ვთქვათ ისეთ ფეხბურთელებზე, როგორებიც არიან კალაძე, ხიზანიშვილი, ასათიანი, კობიაშვილი, არველაძე, იაშვილი და რომელი ერთი ჩამოვთვალო. ამიტომ მწვრთნელის შეცვლაზე უნდა ვიფიქროთ. ამას გარდა, უფუნდამენტო, ცარიელ ადგილზე ახალი გუნდის მშენებლობას ათეული წლები სჭირდება.

ვინ მოვიყვანოთ?

გაიოზ დარსაძეს პირადად ვიცნობ. ის უდავოდ ნიჭიერი და მიზანდასახული კაცია. საქმე, რომელსაც დარსაძემ დაახლოებით ათი წლის წინ მოჰკიდა ხელი, უმნიშვნელოვანესია და ქართულ ფეხბურთს დიდ სამსახურს უწევს. ის, რომ ახლა საქართველოში მწვრთნელთა განათლების კურსები არსებობს და თანდათან მატულობს კვალიფიციურ სპეციალისტთა რიცხვი, პირადად დარსაძის დამსახურებაა. მაგრამ ეს ყველაფერი წყალში ჩაეყრება, თუ დროულ და სწორ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. თამაშის შემდეგ დარსაძეს ფერი არ ედო. ეტყობოდა, ძალზე ცუდად გრძნობდა თავს. მითხრა კიდეც: "მირჩევნია, მიწა გამისკდეს და ჩამიტანოსო". მიუხედავად იმისა, რომ დარსაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრების ისტორიაში ორი სამარცხვინო ფურცელი ჩაიწერა (6-6 გაშვებული გოლი დანიასა და ბულგარეთში), რამდენიმე დადებით მომენტსაც შეიძლება გავუსვათ ხაზი. ეს, პირველ რიგში, ეროვნულ გუნდში დაწყებულ ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელთა ინტეგრაციის პროცესს შეეხება. რევიშვილი, განუგრავა, კანკავა, ჯაკობია, გოგუა ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად ნაკრებში თავს უკვე ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. უახლოეს მომავალში ეს ფეხბურთელები ჩვენს ეროვნულ გუნდს უდიდეს სამსახურს გაუწევენ, რაზეც თუნდაც გუშინწინდელ სამარცხვინო მატჩში გატანილი ორი გოლი მეტყველებს. ამ გოლებიდან პირველი კანკავას ჩაწოდებისა და ჯაკობიას დარტყმის, ხოლო მეორე გოგუას თავურის (თუ მხრულის) შედეგია. ისიც სრული სიცრუეა, რომ ახალგაზრდებს ნაკრებში იმიტომ ათამაშებენ, თითქოს ვინმეს მათი ტრანსფერებით ფულის გაკეთება უნდოდეს. ამ ახალგაზრდებმა უკვე დაამტკიცეს, რომ ნაკრების კანდიდატობის ღირსები არიან. დარსაძე კი, მერწმუნეთ, არავისზე ნაკლები პატრიოტი არ არის და ძალიანაც უყვარს თავისი ქვეყანა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს ყველაფერი საკმარისი არ არის ისეთი ტვირთის სატარებლად, როგორიც ეროვნული ნაკრების თავკაცობაა. საკმარისიც რომ იყოს, ყველაფერს ხომ შედეგი განსაზღვრავს? გაცილებით ნაკლებად საწყენი დამარცხებების შემდეგ გაცილებით ავტორიტეტულ მწვრთნელებს დაუტოვებიათ პოსტი, ვიდრე გაიოზ დარსაძეა. დარწმუნებული ვარ, დარსაძეს ეყოფა ვაჟკაცობა, სიტუაცია ზუსტად გააანალიზოს და ქართული ფეხბურთისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღოს.

მეორე საკითხი ის არის, თუ დარსაძის გადადგომის შემთხვევაში ვინ უნდა ჩაიბაროს ეროვნული ნაკრები. ფედერაციას უცხოელი მწვრთნელის საწინააღმდეგო არგუმენტი აქვს: "უცხოელი მწვრთნელის ხელფასი ერთ შესარჩევ ციკლზე 1-2 მილიონი ევროა. იმ დროს, როცა არ გვაქვს მოედნები, ინფრასტრუქტურა, ქართულ ფეხბურთს ასეთი ხარჯის განევის უფლება არა აქვს". ამ არგუმენტს შეიძლება დაეთანხმო, შეიძლება – არა. ვთქვათ, ასეა და, ჩვენი ქესეტობიდან გამომდინარე, უცხოელი მწვრთნელისკენ გახედვის უფლება არა გვაქვს, მოზიდული ფულით კი, პირველ რიგში, ინფრასტრუქტურას განვავითარებთ. კი ბატონო, ასე იყოს, მაგრამ ხომ რჩება ალტერნატივა? თუ გამოდის, რომ გაიოზ დარსაძის მეტი საქართველოში მწვრთნელი არ არსებობს და ცნება "ქართველი მწვრთნელი" მხოლოდ და მხოლოდ გაიოზ დარსაძეს ნიშნავს? მე შემიძლია ჩამოვთვალო არაერთი კვალიფიციური ქართველი მწვრთნელი, რომელსაც ეროვნულ დონეზე დაუმტკიცებია, რომ შედეგის მიღწევა შეუძლია და, ჩემი აზრით, ეკუთვნის შანსის მიცემა. თუ ვინმე იტყვის, რომ ნაკრები საგამოცდო პოლიგონი არ არის, რომ გავრისკოთ და უმაღლეს დონეზე გამოცდილების არმქონე მწვრთნელს ვანდოთ, მაშინ დარსაძეს, ჩივაძეს, გუცაევს, ძოძუაშვილს როგორ ვენდეთ? გამოდის, რომ ისევ უცხოეთისკენ უნდა გვეჭიროს თვალი, რაც ასევე არ არის ცუდი გამოსავალი, თანაც ისე, რომ მილიონიანი ხარჯების გაღებაც არ იქნება აუცილებელი. ერთ მაგალითს მოვიტანთ: ივო შუშაკი, რომლის კვალიფიკაციაშიც ალბათ არავის ეპარება ეჭვი, "დინამოსგან" ხელფასის სახით წელიწადში 150 ათას ევროს იღებდა. ეს იმის გათვალისწინებით, რომ შუშაკი მთელი წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდა და მისი ხელმძღვანელობით გუნდი სეზონში 70-მდე მატჩს მართავდა (საწვრთნელი შეკრებების ჩათვლით). თან, შუშაკს ძალიან შეუყვარდა საქართველო, გაიგო ჩვენი მენტალიტეტი და, რაც მთავარია, მოთხოვნებიც მინიმალური ჰქონდა. გამოდის, რომ თუ შუშაკს მოვიწვევთ, რომელიც, სხვათა შორის, ამჟამად სხვადასხვა სამუშაო ვარიანტებს განიხილავს და, დარწმუნებული ვარ, დიდი სიამოვნებით დათანხმდება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შეთავაზებას, მაინც-დამაინც დიდ ხარჯში არ ჩავვარდებით. ეს ერთ-ერთი ვარიანტია და მონდომების შემთხვევაში არაერთი ასეთი ვარიანტის გამოძებნა შეიძლება.

გადაწყვეტილების მიღების დრო...

ყური დავუგდოთ წარსულს

დესი დაშკოვა

წარსულს რადიკალურად მოწყვეტილი მომავლის არასოდეს მწამდა. ყოველთვის კულტურებისა და გამოცდილებების შერწყმის, და არა დაყოფის, მომხრე ვიყავი. ჩემი ეს პოზიცია კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც გადავწყვიტე, სუხიშვილების დასის პირველი თაობის ორ უბრწყინვალეს მოცეკვავეს გავსაუბრებოდი – და-ძმას - ქალბატონ ნათელა ფირცხალაიშვილი-ქაჯაიას და ბატონ მამია ფირცხალაიშვილს... "ეს იყო მაყურებელი, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა საქართველოზე, არასოდეს ენახათ ქართული ცეკვა - მაშინ ხომ არც ტელევიზია არსებობდა. ახლა არანაირი ცეკვა აღარ გაგაოცებს. შეიძლება ცოცხლად არ გქონდეს ნანახი, მაგრამ ტელევიზია, ფოტო წარმოდგენას გიქმნის. იმათ ასეთი წარმოდგენაც არ ჰქონდათ და საინტერესო იყო მათი შთაბეჭდილება", - იხსენებს და-ძმა ანსამბლის პირველ გასტროლებს ფინეთში. ჩვენ კი, ალბათ, უნდა ვიცოდეთ, რაც იყო ძალიან პოპულარულ და საყვარელ "ასა ფართიმდე"...

კინოფილმი "ქეთო და კოტე". ნათელა და მამია ფირცხალაიშვილები.

ნათელა ფირცხალაიშვილი.

- როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა ცეკვასათან?

ნ.ფ. მე და ჩემი ძმა ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ საცეკვაო სტუდიაში მიგვიყვანა მამამ, რომელსაც ხელოვნებასთან პროფესიული კავშირი არ ჰქონია, მაგრამ ბუნებით შემოქმედებითი ადამიანი იყო და ოპერისა და თეატრის არც ერთ წარმოდგენას არ აცდენდა. ალბათ, შვილებისთვის ცეკვა რომ ესწავლებინა, ხელოვნების ამ დიდმა სიყვარულმა გადააწყვეტინა. სტუდია, დავით ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით, 1934 წელს დაარსდა და ეს სასწავლებელი აკადემიურ ქორეოგრაფიულ განათლებას იძლეოდა. იქ ჩვენი პედაგოგები იყვნენ მარია ბაუერი, დავით ჯავრიშვილი, გიორგი ჟურული; მუსთეორიას გვასწავლიდა კაკო ანდრიაშვილი... ერთი სიტყვით, მე და ჩემი ძმა ბავშვობიდანვე ვცეკვავდით და, სხვათა შორის, ხშირად ვიღებდით მონაწილეობას ოპერის თეატრის სხვადასხვა ცნობილ სპექტაკლში. მახსოვს, "კაკო ყაჩაღში" ვმონაწილეობდით – სხვა ბავშვებთან ერთად მწყემსებს განვასახიერებდით...

მ.ფ. ...1944 წლიდან უკვე ვცეკვავდით ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მიერ დაარსებულ ანსამბლში, რომელიც სახელმწიფო ანსამბლად 1945 წელს ჩამოყალიბდა; თავიდან ვიყავით 15 ბიჭი, ცხრა გოგონა, სამი დამკვრელი; ხშირად ვიცვლიდით სარპეტიციო დარბაზებს, ვმუშაობდით უხელფასოდ...

ნ.ფ. ...ხელფასი კი არა, ცეკვა ისე გვიყვარდა და იმდენად გვინდოდა, რომ ეს ანსამბლი შექმნილიყო, ხშირად საცეკვაო ინვენტარს ჩვენს სახლში ვინახავდით – კონსერვატორიის გვერდით ვცხოვრობდით...

- როდის და სად გნახათ პირველად უცხოელმა მაყურებელმა?

ნ.ფ. პირველად საზღვარგარეთ წავედით 1947 წელს ფინეთსა და დანიაში. ჩვენი ანსამბლის პოპულარობაც იქედან დაიწყო. საქართველოზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ – ჩვენ ხომ რუკაზეც არ ვიყავით; იცოდნენ მხოლოდ სტალინი და "სულიკო"... არა და, მართლა ისე მოვეწონეთ, იმ ქალაქებშიც კი, სადაც კონცერტებს არ ვმართავდით, სადგურებში ხალხი გვხვდებოდა და გვესალმებოდნენ...

მ.ფ. გვქონდა ჩვენი ხუთი ვაგონი, რომლებსაც ნებისმიერ იმ მატარებელს ჩააბამდნენ ხოლმე, რომელიც იმ მიმართულებით მიდიოდა, სადაც ჩვენ გასტროლებს ვმართავდით...

ნ.ფ. ნახეთ, რას წერდა ფინური პრესა მამიაზე:" სოლისტი მამია ფირცხალაიშვილი პირუეტების ყველაზე სრულყოფილ ტექნიკას ფლობს... ის მოძრაობათა ერთი ბრწყინვალე სერიით მთელ სცენას კვეთს: ჯერ ორმაგი პირუეტი ჰაერში, ტანში მოხრილი ცალ მუხლზე ეცემა და მუხლზევე სწრაფად ბრუნავს, შემდეგ იმართება და ჰაერში ასრულებს ორმაგ პირუეტს, ისევ პირუეტი მუხლზე, შემდეგ ისევ ორმაგი პირუეტი ჰაერში, მერე ისევ მუხლზე და ჰაერში საბოლოო პირუეტის შემდეგ იწყება ჩვეულებრივი პირუეტების თავბრუდამხვევი სერია. ამ შავ ჩოხაში გამოწყობილი ნატიფი აღნაგობის ჭაბუკის ცეკვა მაყურებელს გამოუთქმელ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს"... მამია მართლაც ძალიან ნიჭიერი იყო – მუხლზე ტრიალით და ცერებზე შესრულებული მამიას ილეთი დღემდე არავის გაუმეორებია. სამწუხაროდ, კინომასალა დაიწვა, სიტყვიერად კი ამის გადმოცემა ძნელია".

- ბატონო მამია, მაინც რომელი იყო თქვენი ყველაზე საყვარელი ცეკვა?

მ.ფ. მთიულური. ამ ცეკვას ოთხი მოცეკვავე ვასრულებდით - იასონ ზედაშიძე, მურმან ლომთათიძე, გიზო ბერაძე და მე. მოგვიანებით, ანსამბლიდან წასვლის შემდეგ ჩვენი ოთხეული ჩაბარდა. ეს იყო სახასიათო ცეკვა ორი წყვილისთვის სიუჟეტით და მიზანსცენებით და, ალბათ, კარგად გამომივიდა იმიტომ, რომ, რამოდენიმე წლის შემდეგ სამი ქორეოგრაფიული სტუდიის ერთობლივ იუბილეს ვესწრებოდი და როდესაც ბატონ ვახტანგ ჭაბუკიანს მივულოცე, მაშინვე მიცნო და ასე მითხრა: რა დამავიწყებს შენს ხაბარდას - ცეკვით ხომ დიდებულად ცეკვავდი, მაგრამ თან ნამდვილი მსახიობივით თამაშობდიო... დიდ სიამოვნებას მანიჭებდა სამაიას ცეკვაც...

- ქორწილი მართლა ტალინში გქონდათ?

ნ.ფ.... ჰო, ჩემმა მეუღლემ – ჯიმშერ ქაჯაიამ, რომელიც, ასევე, ჩვენს ანსამბლში ცეკვავდა, ტალინში მოულოდნელად შემოგვაყალიბეთ. იმდენად კარგი გამოგვივიდა, ხშირად სხვადასხვა მნიშვნელოვან კონცერტზე გვიწვევდნენ. 1955 წელს დიდ თეატრში გამართულ კონცერტზე, რომელშიც იმ დროის ყველა სახელოვანი მოღვაწე მონაწილეობდა, პროგრამის დასასრულს შეგვიყვანეს (ეს პრესტიჟული იყო). ბუკლეტში ასე ეწერა: "ქართველი მამაკაცების ცეკვა". ჩვენი ოთხეულის თითოეულმა წევრმა ამ ცეკვისთვის პოლონეთში მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის წოდებები, პირველი ხარისხის დიპლომები და ოქროს მედლები მივიღეთ...

ეს მთიულური ოცდაათი წლის შესვენების შემდეგ, ჩვენი ანსამბლის 50 წლის იუბილეზეც ვიცეკვე. მაშინ უკვე სამოცდაათი წლის ვიყავი"...

ნ.ფ. ...მე სიმდი მიყვარდა ყველა ცეკვაზე მეტად – სოლოსაც ვცეკვავდი. არა, სხვებიც მიყვარდა, მაგრამ სიმდში, თითქოს, მთელი ჩემი სული და გული იღებდა მონაწილეობას.

მახსოვს, ვახტანგ ჭაბუკიანმა ჩვენთვის დადგა ცეკვა - ხ

ჯოჯოხეთი ტრიადისთვის

დავით ქვარცხავა ფილმს სარტრის პიესის მიხედვით იღებს

ია ვეკუა

კინოსტუდია "ქართული ფილმის" ტერიტორიაზე ფილმს იღებენ. წესით, ასეც უნდა იყოს და ეს ინფორმაცია დიდად არ უნდა გვაკვირვებდეს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მომცრო ზომის პავილიონი ხინკლისა და მარლის დამამზადებელი საამქროების შუაშია მოქცეული და, ალბათ, საკუთარი თავიც მსგავსი პროფილის დაწესებულება ჰგონია. შეიძლება ითქვას, რომ ეს პავილიონი, მართლაც, საამქროა - აქ ახალ ქართულ მხატვრულ ფილმს "ამზადებენ".

რეჟისორი დავით ქვარცხავა თითქმის ერთი კვირაა, რაც თავის ახალ ფილმზე მუშაობს. დაახლობით ამდენივე დრო დასჭირდება მის დასამონტაჟებლად, გასახმოვენებლად და დასრულებული სახის მისაცემად. თუმცა მანამდე დიდი დროა - რეჟისორს კიდევ მოუწევს ამ კინემატოგრაფიულ ჯოჯოხეთში მუშაობა.

დავით ქვარცხავამ გადასაღებ მოედანზე, მართლაც, პატარა ჯოჯოხეთი შექმნა. ფილმის სიუჟეტის თანახმად მოქმედება, სწორედ, ამ მხურვალე, წითელრქიანი ეშმაკუნებით დასახლებულ და ცხელი კუპრის ქვაბებით სავსე მიწისქვეშა სამყაროში ხდება. თუმცა ვისაც ჯოჯოხეთი ასე წარმოუდგენია, იმედი გაუცრუვდება, რადგან ფილმში მსგავს ვერაფერს იხილავს - ეს ჯოჯოხეთი ერთი პატარა ბნელკედლებიანი ოთახია, საიდანაც გასასვლელის მოძებნას ფილმის სამი პერსონაჟი გამალებით ცდილობს.

დავით ქვარცხავა ფილმს ჟან პოლ სარტრის ცნობილი პიესის "ცხრაკლიტულის" მიხედვით იღებს (ამ ნაწარმოების სათაურს ხშირად სხვანაირადაც თარგმნიან. მაგალითად, "ჩაკეტილ კარს მიღმა"). სარტრმა აღნიშნული პიესა 40-იან წლებში შექმნა და მის საკმაოდ ცნობილ ნაწარმოებად მიიჩნევა. პიესაში მოქმედება ჯოჯოხეთის ერთ-ერთ ჩაკეტილ ოთახში მიმდინარეობს. სამი ერთმანეთისთვის სრულიად უცნობი ადამიანი (ორი ქალი და მამაკაცი) დროს დიალოგებში ატარებენ და ისე, რომ თავადაც ვერ ამჩნევენ, ერთმანეთს ერთგვარ სასამართლოსაც უწყობენ. მათი საუბარი, საბოლოოდ, ღრმა ფილოსოფიურ დიოლოგებში გადადის და პერსონაჟები თავისებურ დასკვნებსაც აკეთებენ.

ფილმის გადაღებაზე.

ეს რაც შეეხება სარტრის პიესას. დავით ქვარცხავას ფილმს კი, შესაძლოა, მასთან მხოლოდ მცირედი დეტალები აკავშირებდეს. რეჟისორმა თავად შექმნა ადაპტირებული სცენარი, რაც თავისთავად ცვლილებებსაც გულისხმობს. სარტრის პიესაში ფრანგ გმირებს: ინესს, ესტელსა და ჰარსენს ჯოჯოხეთის ბიჭუნა-პორტიეც ემატება. სწორედ, ეს პერსონაჟი აბინავებს გარდაცვლილებს მათთვის განკუთვნილ ოთახებში. ქვარცხავას ფილმში კი წაშლილია პერსონაჟთა ეროვნება და სახელები. გარდა ამისა, არსად ჩანს პორტიე და მთელი ფილმი მხოლოდ ამ სამი ადამიანის ირგვლივ იკვრება.

ფილმის სამუშაო სათაურია "ტრიადა", რაც, სავარაუდოდ, მის საბოლოო სახელწოდებადაც იქცევა. მასში მთავარ როლებს პროფესიონალი მსახიობები ბუბა გოგორიშვილი, აპოლონ (იგივე პოლიკა, პალიკო, პოლი) კუბლაშვილი და არაპროფესიონალი ანი გიუნტერი ასრულებენ. ამ უკანასკნელს ბევრ პროფესიონალ მსახიობზე ხშირად უთამაშია კამერის წინ და გადასაღებ მოედანზე თავს, ალბათ, ყველაზე კომფორტულად გრძნობს.

მსახიობები დავით ქვარცხავამ და ფილმის დამდგმელმა ოპერატორმა გია კუსრაშვილმა თავად შეარჩიეს. მათი თქმით, მთავარი იყო ტიპაჟების მოძებნა, რადგან ფილმის გმირები ძალიან სახასიათო პერსონაჟები არიან. მათ არც ანი გიუნტერთან მუშაობის შეშინებიათ - ამ დრამატული როლისთვის მხიარული იმიჯის მქონე სახე საკმაოდ სარისკო არჩევანია. როგორც რეჟისორი გვპირდება, მისი ფილმის შემდეგ მაყურებელი სრულიად ახალ გიუნტერს გაიცნობს. რაც შეეხება ბუბა გოგორიშვილს, იგი შესანიშნავი ტიპაჟია და, სავარაუდოდ, ფილმის ცენტრალური პერსონა გახდება.

დავით ქვარცხავასა და გია კუსრაშვილის გარდა ფილმზე მუშაობენ: მხატვარი ნოდარ ამაშუკელი, ხმის ოპერატორი ზურაბ ნადარაია და მხატვარგრიმიორი მზია კენჭოშვილი. რაც შეეხება რეჟისორს, 1993 წლის შემდეგ იგი პირველად დაუბრუნდა მხატვრულ კინოს. იგი, სწორედ, ამ პერიოდში მუშაობდა სრულმეტრაჟიან ფილმზე "გარდასულ ფერთა" (ოპერატორ გია კუსრაშვილთან ერთად). ფილმის დასრულება ვერ მოხერხდა, რადგან მთავარი როლის შემსრულებელი ლევან აბაშიძე აფხაზეთის ომში დაილუპა. მას შემდეგ რეჟისორმა რამდენიმე პროექტი განახორციელა და, საბოლოოდ, მხატვრული ფილმის გადაღება მაინც გადაწყვიტა.

ფილმს დავით ქვარცხავა ძალიან მცირე დაფინანსებით იღებს. გადამღები ჯგუფი, პრაქტიკულად, ჰონორარის გარეშე მუშაობს. თანხის უქონლობის გამო ფილმს არა ფირზე, არამედ ვიდეოაპარატურით იღებენ, ამიტომ იგი იმთავითვე სატელევიზიო ნამუშევრად მიიჩნევა. რეჟისორი ჯერჯერობით არ საუბრობს ფილმის სამომავლო გეგმებზე, თუმცა უკვე ცნობილია, რომ მისით რამდენიმე რუსული ტელეკომპანიაა დაინტერესებული.

აფიშა

NEWAFISHA.GE

14 ნოემბერი

გიორგი შავგულიძის სახელობის თეატრი "სახიობა"

"გიჟები"
დასაწყისი 15 სთ-ზე
მის: გურამიშვილის გამზირი N64

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი "ვერიკო"

ნინო ახვლედიანი
"კონტრაბასი"
დასაწყისი 19 სთ-ზე
მის: ვ. ანჯაფარიძის ქ. N 16

15 ნოემბერი
პანტომიმის თეატრი

"სტუმარ მასპინძელი" ვაჟა-ფშაველა ამირან შალიკაშვილი
დასაწყისი 18 სთ-ზე.
მის: რუსთაველის გამზირი N 37

ცამეტი დღე სამშობლოში

სოფო კილასონია

ხან სტუდიური, ხანაც ინდივიდუალური მუშაობა. ლექსო თორაძე სულ მუშაობს, კონცერტებს კონცერტები მოსდევს, ერთ ქალაქს – მეორე. მიუხედავად ამისა, მუსიკოსს არც სამშობლოში მოუწყვია დასვენება. 13 დღის განმავლობაში ჩვიდმეტი კონცერტი ჩაატარა. კონცერტების უმრავლესობა თითქმის ხუთ საათს გრძელდებოდა, თუმცა, როგორც მისი სტუდიის წევრებმა მითხრეს, ეს მათთვის ჩვეულებრივი ამბავია.

ორი დღის წინ ლექსო თორაძე ისევ შტატებში გაემგზავრა, თუმცა მანამდე, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში მორიგი მიღება მოეწყო, ოღონდ ამჯერად მას არც პრესკონფერენციის და არც ოფიციალური ვიზიტის ფორმა არ ჰქონია. კულტურის სამინისტროს მშვენიერ საკონცერტო დარბაზში ლექსო თორაძემ პატარა კონცერტი მოაწყო, რომელსაც სამინისტროს თანამშრომლების გარდა თბილისის სამუსიკო სასწავლებლების წარჩინებული მოსწავლეებიც ესწრებოდნენ. ბატონ ლექსოს ინსტრუმენტთან მისი სტუდიის წარმომადგენლები, ჯერ ირმა სვანაძე და ვახტანგ კოდანაშვილი, შემდეგ კი დანარჩენები შეენაცვლნენ. ინსტრუმენტი ისეთი რომ არ იყო, როგორიც სტუმრებს შეეფერებოდათ, ისედაც ითქვა, თუმცა ამაში მაშინაც დავრწმუნდით, როცა მუსიკოსები იძულებული გახდნენ, როიალის ქვეშ შემძვრალიყვნენ... ინსტრუმენტი შეკეთდა და კონცერტიც გაგრძელდა.

"სამინისტროებსა და ოფიციალურ დაწესებულებებში არასდროს დამიკრავს, თუმცა, მუსიკა ყველაგან საჭიროა. თუ ადამიანები არ მოდიან მასთან, მაშინ მუსიკა უნდა მივიდეს ადამიანებთან. მიხარია, რომ არაერთი კონცარტის ჩატარება მოვახერხეთ და არა მხოლოდ თბილისში," – გვითხრა ლექსო თორაძემ, რომელმაც კონსერვატორიაში გამართული საკონცერტო სერიების შემდეგ საკუთარი სტუდიის შემოქმედებით ქუთაისისა და ამბროლაურის მსმენელიც მოხიბლა.

კულტურის სამინისტროში გამართული მეჩვიდმეტე კონცერტი მაესტროსა და ახალგაზრდა პიანისტების შეხვედრით დასრულდა. თორაძეს საკუთარი რეპერტუარი არაერთმა დამწყებმა მუსიკოსმა გააცნო. შეხვედრა ხანგრძლივი გამოდგა. ამის მიუხედავად, არც მსმენელსა და არც შემსრულებლებს ენთუზიაზმი და შემართება არ დაუკარგავთ. ლექსო თორაძე პიანისტების საშემსრულებლო დონით კმაყოფილი დარჩა, რამდენიმე მათგანის კოორდინატები და მონაცემებიც კი ჩაიწერა. ეს უკვე წარმატება და შთამბეჭდავი პერსპექტივაა ახალგაზრდა მუსიკოსთათვის. შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს მათ სახლშიც გაისმას ის ზარი, რომელიც თავის დროზე თორაძის სტუდიის ყველა წევრთან დაირეკა...

"დიდი მადლობა ყველას, უნდა დაგემშვიდობოთ, მომავალ შეხვედრამდე", – მოღიმარი სახით უთხრა ლექსო თორაძემ საზოგადოებას და მისი ავტოგრაფის მიღებით გახარებულ ბავშვებს. მომავალი შეხვედრა კი, სავარაუდოდ, მომავალ წელს გაიმართება.

ბიზნეს შეხვედრა
2005 წლის 18 ნოემბერი

ინდოეთის ფარმაცევტიკის ექსპორტის ხელშემწყობი საბჭოს (რომელიც დაფუძნებულია კომერციული დეპარტამენტის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს, ინდოეთის მთავრობის მიერ) დელეგაცია ჩამოდის თბილისში 2005 წლის 18, 19 ნოემბერს. ვიზიტის მიზანია ფარმაცევტულ სექტორში სავაჭრო ურთიერთობების გაფართოება და ინვესტიციის შესაძლებლობები. დელეგაციეს შემადგენლობაში არიან წამლების, ფარმაცევტული შემადგენლობები, ვეტერინარული, ქირურგიული და მცენარეული პროდუქციის და ა.შ. მწარმოებლები/ექსპორტიორები. საბჭო მოაწყობს ბიზნეს შეხვედრას 11სთ-დან 17სთ-მდე, 2005 წლის 18 ნოემბერს, სასტუმროში "შერატონ მეტეხი პალასი", თელავის ქ. 20, თბილისში. მათი სურვილია ურთიერთობა დაამყარონ ფარმაცევტული პროდუქციის ადგილობრივ მწარმოებლებთან, იმოპრტიორებთან, დილერებთან.

ბიზნეს შეხვედრაზე შესვლა უფასოა ბიზნესმენებისათვის, რომლებიც მოღვაწეობენ ზემოხსენებულ სექტორებში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ქ-ნ თეა ტრაპაიძეს, ინდოეთის საელჩოს წარმომადგენელს საქართველოში, ტელ: 899 195803,

ელ.ფოსტა: tea17@rambler.ru, ან ქ-ნ ლილიტ ოგანესიანი, ინდოეთის საელჩო ერევანში, ტელ: 0037410 539173/174/175, ელ.ფოსტა: administration@embassyofindia.am

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება ცნობილი ქართველი მომღერლის, თეატრის ღვაწლმოსილი სოლისტის, საქართველოს სახალხო არტისტის

თამარ თაქთაქიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მიმართვა

ქ. თბილისის მერიასა და დედაქალაქის საკრებულოს

უკანასკნელ ხანს ჩვენს ქალაქში და მთლიანად ქვეყანაში, თავი იჩინა ქანდაკებათა დაუსაბუთებელმა ადგილშენაცვლებამ და თავის მხრივ, ახალი სკულპტურების წინასწარი, ნაჩქარევი გადაწყვეტილებების საფუძველზე, სახელდახელოდ დადგმის სტიქიურმა პროცესებმა.

მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია, მით უმეტეს დედაქალაქის მნიშვნელოვან, საზრისით დატვირთულ ადგილებში, საგულდაგულო არქიტექტურულ – სივრცითი, პლასტიკურ – კომპოზიციური, თუ სემანტიკური ანალიზის გარეშე, ამა თუ იმ ქანდაკების ადგილშენაცვლება, ანდა აღმართვა. ქალაქის ესთეტიკური სახისათვის არსებითი გადაწყვეტილებების მიღებისას ცხადია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს კომპეტენტურ პროფესიონალთა ნააზრევს, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ კარგად ორგანიზებული, პირუთვნელი და თავისებური "ფილტრის" ფუნქციის მატარებელი კონკურსების საქმიანობაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარიშის გაწევა.

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი სთავაზობს დედაქალაქის ხელისუფლებას თანამშრომლობას იმ მიზნით, რათა გამოირიცხოს ქაოტური, სპონტანური, წამგებიან შედეგთა მომტანი პროცესები ზემოაღნიშნულ მწვავე პრობლემებთან მიმართებაში.

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.
13 ნოემბერი, 2005